საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

14 თებერვალი **ორშაბათი** 2011
№035 (13332) ფასი 60 თეთრი



12

## შერმადინის პირველი ევროდუბლი და ბოისას შამპანური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველომ ესპანეთი გაასამოვა

# 60:0



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

13



## ზამთარმა ნილი ნაიდო



ზესტაფონი–ტორპედო გადაიდო

XIX ტური: მატჩმოკლებული, ოღონდ არა ინტერესმოკლებული

საქართველოს ჩემპიონატი 2-4

7



## იუვე და ისევ ალესანდრო მატრი!

## რუნის შედევრი



5

8



## ბარსამ ხიხონში დაამუხრუჭა



სახიფათო მომენტი სპარტაკის კართან — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ახლები და პრობლემა: შეუთამაშებლობა

13.02. თბილისი. ბ. პაიჭაძე. 700 მაყურებელი

| | |
|---|---|
| დინამო | 1 |
| სპარტაკი | 1 |

0:1 მეტრეველი (23), 1:1 ჰაჯიბულიჩი (44. რობერტინიოს პასით)

| დინამო 4-2-3-1 | სპარტაკი 4-2-3-1 |
|---|---|
| ზარქუა | გრიშიკაშვილი |
| კაკუბავა | გ. სეფიაშვილი |
| თომაშვილი | ტეტუნაშვილი |
| ჰომოლა | ბოიომო |
| მაროვიჩი | ჭაფოძე |
| კვეკვესკირი | მგელაძე |
| ედნილსონი | კაკაშვილი |
| რობერტინიო | მ. ჯიშკარიანი |
| ჰაჯიბულიჩი | კლოვისი |
| კოშკაძე | უგრეხელიძე |
| ტატანაშვილი | მეტრეველი |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| კ. კაჭარავა | ბ. კვარაცხელია |

**დინამო**

46. კვეკვესკირი – **კახელიშვილი**
86. ედნილსონი - **სიხარულიძე.**

*სათადარიგოები: ნადირაძე, კვარაცხელია, ხმალაძე, ფირცხალავა, თეჭთურმანიძე.*

**სპარტაკი**

82. ჯიშკარიანი - **მ. ბარაბაძე.**

*სათადარიგოები: დაუშვილი, ალავიძე, ბუზალაძე, ლობჟანიძე, ჯაყელი.*

გაფრთხილება: სეფიაშვილი (21), კაკაშვილი (45), მეტრეველი (72)
არბიტრი: ლ. სილაგავა

ზამთრის სატრანსფერო ეტაპზე განხორციელებული მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებების შემდეგ გულშემატკივარს აინტერესებდა, რას წარმოადგენს ახალი თბილისის "დინამო". გუშინ გუნდმა სრული შემადგენლობით ვერ ითამაშა: მცირე ტრავმის გამო მატჩი მეკარე **გიორგი ლორიამ** და **შოთა კაშიამ** გამოტოვეს, **გიორგი ციმაკურიძე** განაცხადში ვერ მოხვდა, **თემურ ლონლაძეს**, **პეტარ ელიჩსა** და **ზურაბ არზიანს** კი განაცხადში მხოლოდ შემდეგი ტურისთვის შეიყვანენ. თუმცა მოედანზე ისედაც მრავალი ახალწვეული იყო - "დინამოს" ძირითადში ექვსმა შემატებულმა ითამაშა.

"სპარტაკს" არანაკლები პრობლემები ჰქონდა: მთავარმა მწვრთნელმა **ბადრი კვარაცხელიამ** ვერ ათამაშა "დინამოდან" იჯარით დამატებული **გიორგი მამუჩიშვილი** და გუნდის ლიდერი **ვალერი ბოლქვაძე**, რომელიც დისკვალიფიცირებულია.

პირველი შთაბეჭდილებით, "სპარტაკთან" ნაჩვენები ფეხბურთით "დინამოს" ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაუჭირდება. თუმცა ამის მიზეზი ზემოთ ნახსენები მოთამაშეების არყოფნა და გუნდის აშკარა შეუთამაშებლობაა. ცხრა ახალი ფეხბურთელის დამატების შემდეგ ეს მოსალოდნელიც იყო.

არადა, "დინამოს" ურიგოდ არ დაუწყია და უკვე მე-7 წუთზე ანგარიშის გახსნა მართებდა: ჩეხ **ირჟი ჰომოლას** ახლო მანძილიდან კარის აღება შეეძლო, მაგრამ **სოსო გრიშიკაშვილმა** ბურთი ნახტომით მოიგერია. "სპარტაკის" კაპიტანი სიცხიანი თამაშობდა და, ამის მიუხედავად, ცხინვალელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

"სპარტაკმა" "დინამოს" შეტევები შეაჩერა და რამდენჯერმე მწვავე კონტრშეტევა წამოიწყო. ძალიან აქტიურობდა ყოფილი დინამოელი **ზვიად მეტრეველი**, რომელიც მეტოქის დაცვას მოსვენებას არ აძლევდა. 23-ე წუთზე იგი "დინამოს" მცველებს გაექცა, მეკარესთან პირისპირ გავიდა, **თორნიკე ზარქუას** შორეულ კუთხეში დაურტყა და ანგარიში გახსნა.

გოლმა "დინამო" გამოაცოცხლა და ორი რეალური საგოლე მომენტი შექმნა: 29-ე წუთზე **ალეკო კოშკაძის** დარტყმული ბურთი გრიშიკაშვილმა მოიგერია, კარის წინ მარტო დარჩენილმა **მარკო მაროვიჩმა** და **რობერტინიომ** კი დამატება ვერ მოახერხეს. ერთ წუთში **ლევან კაკუბავას** მიერ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს ქარმა მიმართულება შეუცვალა და „ცხრიანისკენ" წავიდა - გრიშიკაშვილმა თავისიანები ერთხელაც იხსნა, თუმცა ძელს შეეჯახა და მოედანზე მხოლოდ ექიმების დახმარების შემდეგ დაბრუნდა.

ტაიმის მიწურულს "სპარტაკის" მცველები უხეშად შეცდნენ, მაგრამ კარის წინ დარჩენილი რობერტინიო და **დიმიტრი ტატანაშვილი** ბურთს ვერ შესწვდნენ.

44-ე წუთზე ანგარიში მაინც გათანაბრდა: **სემირ ჰაჯიბულიჩმა** საჯარიმოს ხაზიდან ზუსტად დაარტყა და სადებიუტო შეხვედრა გოლით აღნიშნა - 1:1.

ვერ გეტყვით, რა დაემართა მეორე ტაიმში "დინამოს", მაგრამ რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ "სპარტაკმა" შექმნა. ცხინვალელები უფრო მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. შორიდან ცდილობდნენ კარის აღებას **მიხეილ ჯიშკარიანი** და **ნიკა მგელაძე**, 73-ე წუთზე კი მეტრეველს "სპარტაკის" დაწინაურებაც შეეძლო: მან ჰომოლასა და მაროვიჩის აშკარა შეცდომით ისარგებლა და მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ზარქუამ აჯობა, დამატებაზე კი ბურთს **ტიერი კლოვისმა** ვერ მიუსწრო და "დინამო" გადარჩა. ჩემპიონობისთვის მებრძოლმა "დინამომ" უმნიშვნელოვანესი ორი ქულა დაკარგა.

მატჩის შემდეგ "დინამოს" მთავარი მწვრთნელი **კახა კაჭარავა** უკმაყოფილებას არ მალავდა: *"მეორე ტაიმში ცხინვალელებმა რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, ჩვენს მომენტს კი ვერ ვიხსენებ - უკმაყოფილო ვარ... არის თუ არა ყველა ახალწვეული დატოვების ღირსი, დრო გვიჩვენებს. გასათვალისწინებელია, რომ შეუთამაშებლები არიან... რაც შეეხება ჰომოლას, "დინამოში" პირველად ითამაშა, სულ ათი დღეა, ჩვენთან ვარჯიშობს, მოუმზადებელი იყო და საკუთარ შესაძლებლობებს ვერც გამოავლენდა. ჰაჯიბულიჩზეც ამასვე ვიტყვი. თუმცა მათი მჯერა და არ ვნერვიულობ".*

**ბადრი კვარაცხელია**, ცხინვალის "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი: *"გასვლაზე ასეთ გუნდთან ფრე ჩვენთვის წარმატებაა. თავდადებისთვის ბიჭებს მადლობას ვუხდი. ფორტუნა ჩვენკენ რომ ყოფილიყო, მოვიგებდით კიდეც".*

**მერაბ მამულაშვილი**

# ბაია აღმოჩენას გვპირდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოარგე ტაქტიკა... ტალახს

13.02. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ბაია | 1 |
| სიონი | 0 |

1:0 ქობალია (30)

| ბაია 4-1-4-1 | სიონი 4-2-3-1 |
|---|---|
| სომხიშვილი | მერლანი |
| სვირავა | კობაური |
| აქუბარდია | ორბელაძე |
| რ. ონიანი | თარგამაძე |
| გამრეკლიძე | ქორიძე |
| ვართაგავა | დიდავა |
| რიგვავა | გოგოგერიშვილი |
| შ. ლომია | ისიანი |
| წურწუმია | ნოზაძე |
| სიხარულია | ჩირიკაშვილი |
| ქობალია | რ. ჯიქია |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| ე. ქომეთიანი | გ. ყიფშიძე |

**ბაია**

75. ლომია – **შონია**
85. ქობალია – **ჩანგელია**
90. სვირავა - **აფაქიძე**

*სათადარიგოები: მაქაცარია, კუკავა, ქვარცხავა, ქირია*

**სიონი**

59. ნოზაძე – **ვაშაკიძე**
73. თარგამაძე – **მ. ოქროპირიძე**
83. ჯიქია – **ნ. კვასხვაძე**

*სათადარიგოები: ბობლიაშვილი, ოქროპირიძე გიორგი, სანიკიძე, ადამაშვილი*

გაფრთხილება: შონია (86), ისიანი (90)
არბიტრი: ხ. გაგნიძე

უამინდობის გამო ატალახებულმა მინდვრის საფარმა თავისი კვალი დაატყო თამაშს, რაც უზუსტო გადაცემებსა და ტექნიკურ წუნში აისახებოდა. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ პაექრობამ დუნედ და უბრძოლველად ჩაიარა. სატურნირო ცხრილის მეზობლები თავიდანვე საბრძოლველად განეწყვნენ და სტუმრებმა პირველივე წუთებიდან სცადეს სწრაფი გოლით დაწინაურება. მე-6 წუთზე ბოლნისელთა შეტევა შეიძლებოდა, გოლით დასრულებულიყო, **ისიანს** რომ ემარჯვა, რამდენიმე წუთში ბოლნისელები კვლავ დაემუქრნენ **სომხიშვილის** კარს, მაგრამ **ნოზაძის** თავური არაზუსტი აღმოჩნდა.

ნელ-ნელა მასპინძლებიც გააქტიურდნენ და რამდენიმეწუთიან მონაკვეთში ზედიზედ სამი კუთხურის ჩაწოდებაც მოასწრეს, მაგრამ შედეგის მომტანი ვერც ერთი ვერ აღმოჩნდა. სტუმართა მხრიდან განსაკუთრებით **ისიანი** გამოირჩეოდა, რომელიც ზუსტი პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. მერე და მერე მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. "ბაია" ერთი ფორვარდით თამაშობდა და მწვავე შეტევებს ფლანგებიდან იწყებდა, რამაც ზუგდიდელთათვის სასიკეთო შედეგიც მოიტანა. მათ მანამდეც რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს, 30-ე წუთზე კი **ქობალიამ** უმაღლეს ლიგაში დებიუტი გოლით აღნიშნა - **ლომიას** მიერ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი თავით ოსტატურად გადაგზავნა კარში.

გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრები თითქოს გამოფხიზლდნენ და ისიანი ისევ ყურადღების ცენტრში მოექცა, როცა "ბაიას" ოთხ მცველს ოსტატურად აუარა გვერდი და **ჯიქიას** მეკარესთან პირისპირ გაყვანა შეეძლო, თუმცა ბოლნისელი სოლორეიდის დაგვირგვინებას თვითონვე შეეცადა, რითაც საგოლე მომენტი გააფუჭა. ანგარიშის გათანაბრების შანსი სტუმრებს რამდენიმე წუთშიც მიეცათ, თუმცა **ნოზაძის** სახიფათო დარტყმას **სომხიშვილი** მარჯვედ დაუხვდა და კარი აშკარა გოლისგან იხსნა.

მეორე ნახევრის დასაწყისშიც ინიციატივას ისევ სტუმრები დაეუფლნენ და შეტევებსაც უხშირეს, თუმცა მწვავე იერიშებით მხოლოდ დასაწყისში გამოირჩნენ. თუ არ ჩავთვლით ბოლო წუთებში მათ მიერ შესრულებულ ორ სახიფათო საჯარიმო დარტყმას, სხვა დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნიათ. სათამაშო ტემპიც და მოედნის ცენტრიც სტუმრებმა თანდათან ისევ მასპინძლებს გადააბარეს. გატანის შანსი ჰქონდა **სიხარულია-რიგვავას** დუეტს, შემდეგ **ქობალია-რიგვავა-სიხარულიას** სამსვლიანი იერიში **სიხარულიას** შეეძლო გოლით დაესრულებინა, მაგრამ...

**ელგუჯა ქომეთიანი (ბაია):** „დავიწყებ იმით, რომ ქობალიას ფიზიკური აღნაგობა, მოქმედება, სისწრაფე და აზროვნება მაძლევს სრულ საფუძველს ვთქვა - ის სეზონის აღმოჩენა იქნება. რაც შეეხება თამაშს, მინდვრის უხარისხობის გამო თავიდანვე ფლანგური შეტევები დავისახეთ მიზნად, რადგან ბურთის გაგორება მოედნის ამ მონაკვეთებზე უფრო იყო შესაძლებელი და შედეგსაც მივაღწიეთ. კმაყოფილი ვარ ჩემი ფეხბურთელების, დავალება კარგად შეასრულეს".

**გიორგი ყიფშიძე (სიონი):** „ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ვერც დავემდურები, რადგან ამ ტალახში მათ მაქსიმუმის გაკეთებას ვერ მოვთხოვ. მართალია, უფრო გამოცდილი ფეხბურთელები გვყავს და თითქოს შეიძლებოდა, მათ ხარჯზე გადაგვეწყო თამაში, მაგრამ, ვიმეორებ, ასეთ მინდორზე თამაშის შემობრუნება შეუძლებელია. ამგვარ ამინდში გადამწყვეტი ერთი გოლია და ასეც მოხდა".

**ლაშა გოგილავა**
ზუგდიდიდან

# კიდევ სამი დინამოელი სპარტაკში

თბილისის "დინამოს" სამი ფეხბურთელი იჯარით ცხინვალის "სპარტაკში" ითამაშებს – მცველი **გიორგი ოთარაშვილი**, ნახევარმცველი **ირაკლი ლექვთაძე** და თავდამსხმელი **ზვიად ქანთარია**.

სამეული ცხინვალელებს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის განახლების დღეს - შაბათს შეუერთდა. ამან "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი **ბადრი კვარაცელია** გაახარა და ამბობს, რომ ახალგაზრდა დინამოელთა დამატებით გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდება, მაგრამ თბილისის "დინამოსთან" მათი განაცხადში შეყვანა ვერ მოხერხდა. საქმე ისაა, რომ მოთამაშეთა გაშვებას "დინამო" მხოლოდ 12 თებერვალს დათანხმდა, ფედერაციაში სათანადო განაცხადის წარდგენა და გაფორმება კი ველარ ესწრებოდა.

სამივე ფეხბურთელი "დინამოსთან" ერთად თურქულ შეკრებაზე ემზადებოდა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკა აკლდათ და განათხოვრება მათივე სურვილი იყო. შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იყო ლექვთაძე, რომელმაც პირველ ეტაპზე 10 შეხვედრა ჩაატარა და 4 გოლი გაიტანა. ოთარაშვილმა თბილისელთა ფორმა სამჯერ მოირგო, ქანთარიამ კი - ორჯერ, ასე რომ, სათამაშო პრაქტიკა მართლაც აკლდათ.

ცხადია, სამეულის მიწვევით დაინტერესებული იყო "სპარტაკის" ხელმძღვანელობაც, თურქეთში მომზადებული დინამოელები გუნდს ნამდვილად წაადგებიან.

შეგახსენებთ, რომ ცხინვალელებმა მოსამზადებელ ეტაპამდე ორი დინამოელიც დაიმატეს - საყრდენი ნახევარმცველი **გიორგი მამუჩიშვილი** და თავდამსხმელი **ზვიად მეტრეველი**.

**მერაბ მამულაშვილი**

● მადლი ჰქენი...

# სიონი ზესტაფონმა შეიფარა

ზუგდიდური მატჩიდან შინისკენ მიმავალმა "სიონმა" რიკოთის უღელტეხილის გადალახვა ვერ შეძლო. ბოლნისური კლუბის ავტობუსი დიდთოვლობის გამო დასავლეთიდან აღმოსავლეთ საქართველოში ვერ გადმოვიდა და სიონელები ღამეს რიკოთზე გაათევდნენ, "ზესტაფონს" მათთვის დახმარების ხელი რომ არ გაეწოდებინა.

იმერულმა კლუბმა "სიონის" მთელი შემადგენლობა ზესტაფონში მიიპატიჟა, დააპურა და ღამე სასტუმროში გაათევინა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ასეთი პატივი "ზესტაფონმა" "სიონს" სრულიად უსასყიდლოდ სცა. "სიონი" თანადგომისთვის "ზესტაფონის" ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით კი პრეზიდენტ **ილია კოკაიასა** და მთავარ მწვრთნელ **გია გეგუჩაძეს** დიდ მადლობას უხდის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



რევაზ გენაძე ვიტჯორჯიელთა გარემოცვაში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# დამატებითი სტიმული

13.02. რუსთავი. ფოლადი.
700 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 1 |

1:0 ა. მიქაბერიძე (22. საკუთარ კარში), 1:1 ჩიმაკაძე (25), 2:1 მოდებაძე (77. ბოლქვაძის პასით)

| ოლიმპი | ვიტ ჯორჯია |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-3-2-1 |
| ბედიაშვილი | ა. მიქაბერიძე |
| ჯაფარიძე | ბეჟვაია |
| კვახაძე | ადამაძე |
| ქემოკლიძე | კასრაძე |
| დობროვოლსკი | ლანიაშვილი |
| რაზმაძე | ვასაძე |
| ტყემალაძე | მაისაშვილი |
| ი. მაისურაძე | გურ. გურეშიძე |
| დ. ბოლქვაძე | კორიფაძე |
| გენაძე | ჯანელიძე |
| მოდებაძე | ჩიმაკაძე |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| თ. მაისურაძე | მ. კოჭლაშვილი |

**ოლიმპი**

46. ტყემალაძე - **ქავთარაძე**
87. გენაძე - **გ. ჭელიძე**
89. ბოლქვაძე - **გორდეზიანი**

*სათადარიგოები:* **ბათიაშვილი, ბახტაძე, მურველაშვილი, ჯ. უგულავა**

**ვიტ ჯორჯია**

73. ჩიმაკაძე - **როსტიაშვილი**
77. გურეშიძე - **ზაქრაძე**

სათადარიგოები: **ძაძამია, ჭანკვეტაძე, დვალაშვილი, გოგიაშვილი, გიორგი გურეშიძე**

გაფრთხილება: **ჩიმაკაძე (12), ადამაძე (27), მოდებაძე (49), კვახაძე (64), ბოლქვაძე (71), ვასაძე (85).**

არბიტრი: **თ. გვანცელაძე (სამტრედია)**

...ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე მასპინძლებს დამატებითი სტიმული გაუჩნდათ: გამარჯვების შემთხვევაში, სულ მცირე, ერთი კვირით სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცეოდნენ. შესაძლოა, ამ ფსიქოლოგიურ წნეხსაც დავაბრალოთ ის ფაქტი, რომ „ოლიმპს" ერთობ გაუჭირდა მეორე ეტაპის გამარჯვებით დაწყება; თუმცა ნურც სტუმრებს დავუკარგავთ გარჯას: „ვიტ ჯორჯიამ" გუშინ სავსებით ღირსეულად იასპარეზა და უფრო გამოუცდელობის გამოც იყო, რუსთავიდან თუნდაც ქულა რომ ვერ წაიღო.

მეტოქეებმა ამ სეზონში უკვე მეოთხედ ითამაშეს და წინა სამი დაპირისპირება (ორი ჩემპიონატზე, ერთიც სუპერთასზე) რუსთაველთა გამარჯვებით დამთავრდა. ისიც საინტერესო ფაქტია, რომ „ვეტერინართა" მთავარ მწვრთნელ **მერაბ კოჭლაშვილს** „ოლიმპთან" წინა სამივე შეხვედრაში სამ სხვადასხვა კოლეგასთან (**თემურ მახარაძე, რამაზ მუმლაძე, თორნიკე მაისურაძე**) მოუწია დაპირისპირებამ. მოგეხსენებათ, „ოლიმპს" ახლაც თორნიკე მაისურაძე ხელმძღვანელობს და დებიუტანტმა მწვრთნელმა, პირველ ეტაპთან შედარებით, ძირითაო შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები შეიტანა. დისკვალიფიცირებული **გიორგი რეხვიაშვილის** არყოფნაში დაცვის ცენტრში **რევაზ ქემოკლიძის** გამოჩენა თუ ჩვეულებრივ ფაქტად ალვიქვით, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით ამპლუაშეცვლილ **ლაშა ჯაფარიძესა** და **დენის დობროვოლსკიზე**: პირველი მისთვის უჩვეულო, დაცვის მარჯვენა ფლანგზე ვიხილეთ, „ნომინალური" საყრდენი დობროვოლსკი კი — მარცხენა მცველის პოზიციაზე. „ოლიმპის" ახალწვეულთაგან ძირითადში ორი ფეხბურთელი გამოჩნდა: **ირაკლი მაისურაძე** და **ვაკო ტყემალაძე**. „ვიტ ჯორჯიას" შემადგენლობა კი ამ ეტაპისთვის ოპტიმალური იყო, ამასთან, ინტერესს იწვევდა ის, თუ როგორ იასპარეზებდნენ „ვეტერინარები" ან უკვე ყოფილი ორი ლიდერის (**ჯაბა ლიპარტია, ირაკლი კლიმიაშვილი**) გარეშე. ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდულ „ვიტ. ჯორჯიას" პირველ ტაიმში ურიგოდ ნამდვილად არ უთამაშია: გუნდი დაცვაში არ ჩამჯდარა, მეტოქეს ტემპშიც აჰყვა და, რაც მთავარია, საკუთარ კარში მიღებული კურიოზული გოლის შემდეგ ანგარიში მალევე გაათანაბრა. ისე, ამინდიც უნდა ვახსენოთ: ძლიერი ქარი მთელი მატჩის განმავლობაში ხელს უშლიდა ორივე გუნდის ფეხბურთელებს, ეგ კი არა, პირველ გოლში შეიძლება ქარის „დადანაშაულება": **დავით ბოლქვაძემ** მარცხენა ფლანგიდან, „უწყინარი" საჯარიმო შეასრულა, მაგრამ **არდალიონ მიქაბერიძე** გამოსვლაზე შეცდა და მეტოქის ფორვარდთან და თანაგუნდელთან ორთაბრძოლისას ბურთი საკუთარ კარში აეჭრა!

„ვეტერინარებს" დიდი დრო არ დასჭირვებიათ ანგარიშის გასათანაბრებლად: შეტევა **გიორგი ჯანელიძემ** (მატჩის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა) წამოიწყო, ეფექტური პასით **გიორგი კორიფაძე** მასპინძელთა მეკარესთან პირისპირ დატოვა, თუმცა **გრიგოლ ბედიაშვილმა** იყოჩაღა და მეტოქეს გატანა არ დაანება, მაგრამ „ოლიმპის" მცველებმა იმ მომენტში სრული უყურადღებობა გამოიჩინეს და მასპინძელთა კარის სიახლოვეს ეულად მდგომ **ბესიკ ჩიმაკაძეს** ზუსტად დარტყმა არ გასჭირვებია — 1:1.

პირველი ტაიმის ბოლომდე დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა, გარდა ერთი ეპიზოდისა: **რევაზ გენაძის** ფლანგური გადაცემის შემდეგ **ირაკლი მოდებაძე** ეფექტური თავურით ცდილობდა გატანას, მაგრამ „ოლიმპის" ცენტრფორვარდის დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

...მეორე ტაიმი, მოულოდნელად, სტუმართა აქტიურობით დაიწყო, საწყისი 15 წუთი მათი უპირატესობით წარიმართა (ქარის მიმართულებაც „ეხმარებოდა") და დროის ამ მონაკვეთში, სულ მცირე, სამჯერ შეეძლოთ უჩვეულოდ პასიური მასპინძლების დასჯა. თუმცა **გურამ ადამაძის,** გიორგი კორიფაძისა და ბესიკ ჩიმაკაძის მცდელობებს შედეგი არ მოჰყოლია. აი, „ოლიმპმა" კი პირველი ნეტნაკლებად სახიფათო მომენტი 71-ე წუთზე შექმნა: თამაშში აქტიურად ჩართული **გიორგი ქავთარაძის** პასით ირაკლი მოდებაძემ ვერ იხეირა. ექვს წუთში კი მასპინძელთა ლამაზი კომბინაცია ვიხილეთ: საგოლე შეტევა ქავთარაძემ წამოიწყო, დავით ბოლქვაძემ გააგრძელა და ირაკლი მოდებაძემ ახლო მანძილიდან თავისიანები დააწინაურა. ამის შემდეგ განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ჯანელიძე-ჩიმაკაძის კომბინაციას, როცა სტუმართა ცენტრფორვარდს ამ მატჩში „დუბლის" შესრულება შეეძლო. სხვათა შორის, ამ ეპიზოდს ორივე გუნდის ფეხბურთელთა შორის მცირე გაწევ-გამოწევა მოჰყვა: მასპინძელთა აზრით, „ვეტერინარებმა" „ფეარ პლეის" წესი დაარღვიეს.

ასეა თუ ისე, საკმაოდ მძიმე ორთაბრძოლაში „ოლიამპმა" უმნიშვნელოვანესი 3 ქულა მოიპოვა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ კვირის ბოლომდე ცხრილს ახალი ლიდერი ეყოლება — მოქმედი ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი". ოღონდ, თორნიკე მაისურაძის შეგირდებს მომდევნო მატჩებში აშკარად „სხვანაირად" თამაში მართებთ — „ოლიმპს" ხომ ზედიზედ სამი ურთულესი შეხვედრა („ტორპედოსთან", „დინამოსთან", „ზესტაფონთან") ელის.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი | 19 | 12 | 4 | 3 | 31 | 16 | 40 |
| 2 | ზესტაფონი | 18 | 12 | 1 | 5 | 39 | 12 | 37 |
| 3 | დინამო | 19 | 10 | 6 | 3 | 24 | 10 | 36 |
| 4 | ბაია | 19 | 7 | 4 | 8 | 19 | 22 | 25 |
| 5 | ვიტ ჯორჯია | 19 | 7 | 1 | 11 | 18 | 26 | 22 |
| 6 | კოლხეთი | 19 | 6 | 4 | 9 | 16 | 29 | 22 |
| 7 | ტორპედო | 18 | 5 | 7 | 6 | 9 | 10 | 22 |
| 8 | სიონი | 19 | 5 | 6 | 8 | 12 | 23 | 21 |
| 9 | სამტრედია | 19 | 5 | 4 | 10 | 18 | 33 | 19 |
| 10 | სპარტაკი | 19 | 4 | 5 | 10 | 19 | 24 | 17 |

ზესტაფონი- ტორპედო გადაიდო

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| ბელაშვილი (ზესტაფონი) | 10 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 10(1) |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 10(1) |

# ცუდი რამ მიზამდენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამტრედია და ხალხი: რა იშვიათია ეს სიყვარული და რა სევდიანი

12.02. ფოთი. ფაზისი.
500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 2 |
| სამტრედია | 1 |

0:1 ხუმარაშვილი (25. ბურჯანაძის პასით), 1:1 ცხვიტარია (57. გულუას პასით), 2:1 კვერენჩხილაძე (65. გვალიას პასით).

| კოლხეთი | სამტრედია |
|---|---|
| 4-4-1-1 | 4-4-1-1 |
| ძაგანია | ჯინჭარაძე |
| ცხვიტარია | გოგია |
| მახვილაძე | კუპრეიშვილი |
| ინწკირველი | ხუმარაშვილი |
| მეგრელიშვილი | კირთაძე |
| გულუა | ჩხიკვაძე |
| გოგონაია | ცხადაია |
| გვალია | ბურჯანაძე |
| გელაჭეიშვილი | ნინუა |
| კვერენჩხილაძე | ბაკარაძე |
| მდივნიშვილი | რუხაია |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| **გ. შეროზია** | **ლ. ანჯაფარიძე** |

**კოლხეთი**

46. გელაჭეიშვილი - **გავაშელიშვილი**
77. მდივნიშვილი - **ნიქარიშვილი**
90. კვერენჩხილაძე - **ქორჩილავა**

*სათადარიგოები:* ***ლობჟანიძე, გეგელია, ბარამიძე, საცერაძე***

**სამტრედია**

67. ნინუა - **ხვადაგიანი**
88. რუხაია - **ახობაძე**

*სათადარიგოები:* ***კეკელიძე, თევზაძე, სუთიძე, ენდელაძე, ბელქანია***

გაფრთხილება: **რუხაია (64), ცხვიტარია (81)**

არბიტრი: **ა. კრიჭაშვილი**

*„ნებისმიერი მეტოქე უნდა დააფასო, რაც უნდა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდეს. ასეთ გუნდებთან განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რადგან უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ და შეიძლება სიურპრიზიც შემოგთავაზონ. დღესაც კინაღამ ასე მოხდა. საბედნიეროდ, შესვენებაზე განხორციელებული ტაქტიკური ცვლილებით მოვახერხეთ, რომ არ დავსჯილიყავით"*, - განაცხადა ნამატჩევს **ბესიკ შეროზიამ** და მისი სიტყვები ზუსტად ასახავს შეხვედრის სურათს.

მართალია, სეზონის განახლებას ორივე გუნდი შესუსტებული შემადგენლობით შეხვდა, მაგრამ „კოლხებმა" ნაწილობრივ მაინც მოახერხეს ბრძოლისუნარიანი გუნდის შეკოწიწება, რასაც ვერ ვიტყვით იმერლებზე, რომლებსაც შაბათს ავადმყოფობის გამო კაპიტანი და მთავარი ფიგურა **შოთა ჩომახიძეც** აკლდათ.

ამის კვალად, მასპინძლებს თითქოს იოლად უნდა გაემარჯვათ და საწყისი წუთებიც ცუდს არაფერს უქადდა ფოთელებს. მართალია, საუკეთესო თამაშს არც ისინი აჩვენებდნენ, მაგრამ შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ სტუმრები რეალურ ხიფათს ვერ შექმნიდნენ.

თუმცა ასე არ ფიქრობდნენ თავად იმერლები და მასპინძლებს სიურპრიზი შესთავაზეს — „მწარე ხუმრობის" ავტორი **ხუმარაშვილი** იყო - მან სრულიად უწყინარ სიტუაციაში მიიღო **ბურჯანაძის** პასი და ერთი შეხებით მისიანების ექსკიპერის, **ლაშა ძაგანიას** კარი საჯარიმოს მისადგომებიდან დალაშქრა - 1:0.

ამის შემდეგ მასპინძლები აშკარად ანერვიულდნენ და მათი შეტევები კიდევ უფრო არაორგანიზებული გახდა. ერთადერთი რეალური ხიფათი ტაიმის მიწურულს შექმნეს, როცა ახალწვეული **მდივნიშვილის** თავური კარის „ცხრიანს" მცირედით ასცდა.

სამაგიეროდ, ანგარიშის გაზრდა შეეძლო „სამტრედიას" — **რუხაია-ბაკარანძის** კონტრშეტევას კოლხი მცველები მოუმზადებლები შეხვდნენ, შედეგად, უმეთვალყურეოდ დარჩენილი იმერელი მობურთალი ყოფილ თანაგუნდელს პირისპირ შეეყარა, თითქოს ძაგანიას გასცდა, მაგრამ თანამსაჯის ნიშანზე **ალექსანდრე კრიჭაშვილმა** ბაკარანძის მხრიდან ხელით თამაში დააფიქსირა. ამან და ტაიმის დამამთავრებელმა ჩასტვენამ „კოლხეთს" სულზე მოუსწრო.

როგორც მოსალოდნელი იყო, შესვენებაზე კოლხთა თავკაცმა შეცვლა და ტაქტიკური გადაადგილება მოახდინა, რის ხარჯზეც გუნდის შეტევის პოტენციალი გაზარდა.

ამან შედეგი მალევე გამოიღო და ფოთელებმა ზედიზედ მოახერხეს გოლების გატანა: 57-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან **გულუას** ჩაწოდებულს, შორეულ ძელთან შეტევაში ჩართული **ცხვიტარია** გაჩნდა და კაპიტნის თავურმა ანგარიში გაათანაბრა; რამდენიმე წუთში მატჩის საუკეთესო და გადამწყვეტი გოლი იმ **გიგა კვერენჩხილაძემ** გაიტანა, ვინც პირველი ეტაპი „სამტრედიას" შემადგენლობაში ჩაატარა. შეხვედრის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მობურთალმა **გვალიას** პასი შეირგო და, ხუმარაშვილის დარად, მანაც ყოფილ თანაგუნდელს (ოღონდ საწინააღმდეგო კარში მდგომს) აუღებელი დაურტყა - 2:1.

ეს იყო და ეს. საინტერესო მეტი არაფერი მომხდარა — კოლხები უტევდნენ და ხიფათს ვერ ქმნიდნენ, ხოლო სტუმრებს, იმის მიუხედავად, რომ მათი ახალწვეული **გიორგი ცხადაია** კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა, მხოლოდ ერთხელ შეეძლოთ მატჩის ხსნა, მაგრამ ამის საშუალება ისევ მათმა ყოფილმა, ახლა კი ფოთელთა მეკარემ არ მისცა.

„სახალხო გუნდად" ქცეულ „სამტრედიას" ქომაგთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი (მათ შორის ექსპრეზიდენტი **ზაზა ადეიშვილი**) ახლდა და ბოლო წუთამდე თავგამოდებით ქომაგობდა საყვარელ კლუბს. ასეთი რამ საქართველოში იშვიათად ხდება და სამწუხაროა, რომ, ქომაგების გარდა, „სამტრედიას" ლამის ყველამ ზურგი აქცია და გასავარდნად გაიმეტა.

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

საუნივერსიტეტო ფეხბურთი

# სეუ ჩემპიონია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტდარბაზში დამთავრდა ფუტსალში „საუნივერსიტეტო რომპეტროლიადის" სტუდენტური ლიგის პირველობა, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) ფეხბურთელებმა დაძაბულ ბრძოლაში 3:2 სძლიეს თსუ-ს და მთავარი პრიზი მოიპოვეს. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში სტუ-მ საქართველოს უნივერსიტეტს მოუგო 5:4. ორგანიზატორებმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად **ამირან ცხომარია** (სეუ) და **ლაშა წამალაშვილი** (სტუ) დაასახელეს. გამარჯვებულები და პრიზიორები „რომპეტროლ-საქართველოს" გენერალურმა დირექტორმა **ალექსანდრ ალბინმა** და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნიკოლოზ ამაშუკელმა** დააჯილდოვეს. ჩემპიონი გუნდის ბაზაზე ჩამოყალიბდება საქართველოს ნაკრები, რომელიც წლეულს, ზაფხულს მსოფლიოს და ევროპის საუნივერსიტეტო ჩემპიონატებში იასპარეზებს.

**ვაჟა დანელია**



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

● ზესტაფონი



# თოვლი ისეთი დაიდო, იმერთ დერბი გადაიდო

## დასჯილი დუეტი გუნდშია, გუნდი კი თბილისშია

ესპანური შეკრებიდან დაბრუნებულ "ზესტაფონს" მზადების გაგრძელებაში ხელი დასავლეთ საქართველოში მოსულმა უხვმა თოვლმა შეუშალა. **გია გეგუჩაძის** გუნდმა თბილისში ივარჯიშა, ზესტაფონში კი საწვრთნელი პროცესის წარმართვა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ალბათ, ყველას ახსოვს შარშანდელი თებერვალი, მაშინაც საწყისი ტურები დიდთოვლობის გამო გადაიდო. არ ვიცით, როგორი მეტეოპირობები იქნება საქართველოში უახლოეს დღეებში, მაგრამ შარშანდელი უსიამოვნებების განმეორების საფრთხე ნამდვილად არსებობს. საბედნიეროდ, ჯერჯერობით უმაღლესი ლიგის ტური სრულად არ ჩაშლილა, მაგრამ მეორე ეტაპის პირველი ტურის ცენტრალური მატჩის გადადებამ იმერელ გულშემატკივრებს გული დასწყვიტა. შეგახსენებთ, დღეს "ზესტაფონს" "ტორპედოსთვის" უნდა ემასპინძლა, მაგრამ **დავით აბაშიძის** სახელობის სტადიონის გაზონზე დაახლოებით 25-30 სანტიმეტრი თოვლი დაიდო, რისი დროულად გაწმენდაც შეუძლებელი აღმოჩნდა. მოედნის მდგომარეობა თვითონ **ზვიად სიჭინავას** შეუმოწმებია და შეხვედრის გადადების გადაწყვეტილებაც პირადად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მიუღია. სავარაუდოდ, "ზესტაფონი"-"ტორპედო" 2 ან 3 მარტს გაიმართება.

თოვლი უმეტესად დასავლეთ საქართველოში დევს და, შესაბამისად, გადადების საფრთხის წინაშე ლიხს იქით გასამართი მატჩებია. მომდევნო ტურში დასავლეთში მხოლოდ "ტორპედო"-"ოლიმპია" დანიშნული და, თუ მანამდე არ გამოიდარა, ამ შეხვედრის გამართვაც საეჭვო გახდება. კიდევ ერთი პრობლემა ისაა, როგორ შეძლებენ აღმოსავლეთისკენ მომავალი დასავლური კლუბები რიკოთის უღელტეხილის გადმოლახვას.

რაც შეეხება "ზესტაფონს", გუნდი თბილისში რჩება და "ოლიმპიკის" საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობს. 19 თებერვალს ეროვნულ სტადიონზე "დინამო"-"ზესტაფონია" და იმერული კლუბი ამ უპრინციპულესი მატჩისთვის ბოლომდე დედაქალაქში მოემზადება.

გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლეს **გიორგი ხიდეშელმა** და **ნიკოლოზ გელაშვილმა**, რომელთაც უდისციპლინობის გამო (კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ნახსენებია ტერმინები "პროფესიული მოვალეობებისადმი არაკეთილსინდისიერი და არაპროფესიონალური დამოკიდებულება") ესპანური შეკრება ნაადრევად დაატოვებინეს. მათ მიმართ კლუბმა ფინანსური სანქციები გაატარა. ამას გარდა, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ხიდეშელმა და გელაშვილმა "ზესტაფონის" უახლოესი მატჩი გამოტოვონ. ყოველ შემთხვევაში, მათი "ტორპედოსთან" თამაში, ფაქტობრივად, გამორიცხული იყო...

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონი

# გაგვაქვს მხოლოდ აზერბაიჯანში

## რვაგოლიანი დერბი გერმანიაში

აზერბაიჯანის ჩემპიონატში თავი ორმა ქართველმა გამოიჩინა. "ყარაბახმა" "გაბალა" 3:0 გაანადგურა და 63-ე წუთზე **გიორგი ადამიამ** სტუმრებს მეორე გოლი გაუტანა, "თურანმა" კი სტუმრად მოიკ 2:0 დაამარცხა და 26-ე წუთზე ანგარიში **გიორგი ჭედიამ** გახსნა. რაკი გოლები ვახსენეთ, შეგახსენებთ, რომ ბოლო ხანს გამორჩეული **ლადო დვალიშვილი** ტრავმირებულია და, სამწუხაროდ, ლეგიონის უახლოეს მიმოხილვაში მის წარმატებებზე ველარ დავწერთ.

იტალიის სერია A-ში "ბარი"-"ჯენოას" შეხვედრა 0:0 დასრულდა. **კახა კალაძემ** გენუელთა ოთხკაციანი დაცვის ცენტრში შეუცვლელად ითამაშა. საქართველოს ნაკრების კაპიტანი ბოლო დროს ჩინებულ ფორმაშია და "ჯენოამ" კონტრაქტის გახანგრძლივება ამიტომაც შესთავაზა, აი კალაძის გუნდი კი, საყოველთაო აზრით, დღევანდელი შემადგენლობით მხოლოდ უძლიერესთა შორის დასარჩენად არ უნდა იბრძოდეს. სერია B-ში "ემპოლი"-"ასკოლის" მატჩმა **ლევან მჭედლიძის** გარეშე ჩაიარა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში "ქართული დერბი" გაიმართა, სადაც **ლევან კობიაშვილმა** და მისმა თანაგუნდელებმა **ალექსანდრე იაშვილი** და მისი მეგობრები ძალიან გაამწარეს. "ჰერტამ" სტუმრად "კარლსრუე" 6:2 შეარცხვინა, ქართველებს კი ამ რვა გოლიდან ერთშიც არ მიუძღვით უშუალო წვლილი. კობიაშვილმა კვლავ დაცვის მარცხენა ფლანგზე და სრულად ითამაშა, "კარლსრუეს" კაპიტანი იაშვილი კი 71-ე წუთზე შეცვალეს. იმ დროისთვის ანგარიში "მხოლოდ" 1:3 იყო. ერთპიროვნული ლიდერი "ჰერტა" უახლოეს მდევარს ოთხი ქულით უსწრებს, "კარლსრუე" კი, რომელიც სეზონის დაწყებამდე პირველ ბუნდესლიგაში აღზევების ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად მიიჩნეოდა, გააფთრებით იბრძვის მეორეში დასარჩენად.

ინგლისის ჩემპიონშიფში **ზურაბ ხიზანიშვილმა** "ნორვიჩისა" და "რედინგის" დაპირისპირებისას სტუმართა სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი, ისევე როგორც საფრანგეთის მეორე ლიგაში **გიორგი მაკარიძემ** - "ლე მანის" მატჩს.

"ვიტესმა" სტუმრად ჰოლანდიის მოქმედი ჩემპიონის, "ტვენტეს" წინააღმდეგ მედგრად კი იბრძოლა, მაგრამ მაინც დამარცხდა – 0:1. **გურამ კაშიამ** არნემელთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა, **გიორგი ჭანტურიას** ოფიციალურ ვიტესურ დებიუტს კი კვლავაც ველით.



გოლით გახარებული გიორგი ადამია

საბერძნეთში "ერგოტელისმა" შინ 2:1 მოუგო "კავალას", მასპინძელთა დაცვის ცენტრში **გიორგი შაშიაშვილმა** სრული მატჩი ჩაატარა. "პანიონიოსმა" პაოკ 1:0 დაამარცხა, მაგრამ მის რიგებში **დავით კვირკველიას** დებიუტი ჯერაც არ შემდგარა. იგი "პანიონიოსის" 18-კაციან განაცხადშიც არ იყო.

**შოთა არველაძისა** და **ალექსანდრე ამისულაშვილის** "ქაისერისფორს" დღეს სერიოზული გამომცდელი ეყოლება "ფენერბაჰჩეს" სახით. მატჩი სტამბოლში გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ანგარიში ოთარ მარცვალაძემ გახსნა

# ვოლგამ ჩეხებს ჩვენებით მოუგო

თურქეთში მეორე შეკრების ბოლო საკონტროლო შეხვედრა ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგამ" გუშინ ჩეხურ "იაბლონეცთან" 2:1 მოიგო.

**ომარ თეთრაძემ** ძირითად შემადგენლობაში დააყენა **ლაშა სალუქვაძე**, **გია გრიგალავა** და **ოთარ მარცვალაძე**, მეორე ტაიმში კი შემადგენლობა სრულად შეცვალა და "ვოლგაში" დროებით დაბრუნებული **ედიკ საჯაია**, **გოჩა ხოჯავა** და **მათე ვაწაძე** გაიყვანა.

ჩეხების დაცვას ყველაზე მეტად მარცვალაძე აწუხებდა, რომელმაც ანგარიში მეკარესთან პირისპირ გასვლით 45-ე წუთზე გახსნა.

"ვოლგაში" სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა სალუქვაძემ და, როგორც "ვოლგას" ვებგვერდი წერს, დაცვა შეადუღაბა.

მეორე ტაიმში "იაბლონეცმა" ანგარიში გაათანაბრა. 87-ე წუთზე კი საჯარიმოში კარგად ითამაშა მათე ვაწაძემ, რომელმაც ბურთი "ცხრიანში" გაგზავნა და "ვოლგას" მოაგებინა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი. საქართველოს ჩემპიონატი

# რომარიოს საქართველოშიც გააქვს

10 თებერვალი. თბილისი. ასკ-ს დარბაზი.

**ალგო-იბერია 1:7**

ალგო: გოგიშვილი, ჭანუყვაძე, კაკაბაძე, შერმადინი, კობაიძე, მაყიშვილი, პირველი, ფურცელაძე, ბობოხიძე (კაპ), ლუკავა, სებისკვერაძე, მანია.

იბერია: აკოპოვი, ჯამბურია, კუბლაშვილი, ძაბირაძე, ალთუნაშვილი (კაპ), მაისაია, ჟორჟე ალექი, რომარიო, ბეტინიო, ფუმასა, რონი.

ფუტსალის ეროვნულ ჩემპიონატში "იბერიამ" "ალგოს" მეორე მატჩიც მოუგო და ლიდერობა განიმტკიცა. ანგარიში "ალგოს" კაპიტანმა **დავით ბობოხიძემ** მე-4 წუზე გახსნა, თუმცა მოქმედმა ჩემპიონმა 14 წამში გაათანაბრა, ერთ წუთში კი დაწინაურდა კიდეც. პირველ ტაიმში "იბერიას" სასარგებლოდ სამი 10-მეტრიანი საჯარიმო დარტყმც დაინიშნა, თუმცა იბერიელებმა სამივე გააცუდეს - ერთხელ მეკარემ მოიგერია, ორჯერ კი კარს ააცილეს. ამის მიუხედავად, "იბერიამ" ტაიმი 4:1 მოიგო, შესვენების შემდეგ კიდევ სამი გაიტანა და საბოლოოდ 7:1 გაიმარჯვა. იბერიელთაგან შვიდივე გოლი ბრაზილიელებმა გაიტანეს - **ჟორჟე ალექსმა** (3), **რონიმ** (2), **რომარიომ** (1) და **ბეტინიომ** (1).

ამგვარად, "იბერიამ" მიმდინარე სეზონში რვავე თამაში მოიგო და მეორე ადგილზე მყოფ "ალგოს" უკვე 6 ქულით უსწრებს. ჩემპიონატი 4 წრედ ტარდება, ანუ ეს გუნდები კიდევ ორჯერ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ძნელად წარმოსადგენია, „იბერიამ" - ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა - პირველობა ხელიდან გაუშვას.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იბერია | 8 | 8 | 0 | 0 | 82:19 | 24 |
| 2. ალგო | 8 | 6 | 0 | 2 | 44:19 | 18 |
| 3. ჯუნგლები | 8 | 4 | 0 | 4 | 57:53 | 12 |
| 4. თსუ | 7 | 4 | 0 | 3 | 32:30 | 12 |
| 5. თელავი | 6 | 0 | 0 | 6 | 14:52 | 0 |
| 6. აჭარა | 7 | 0 | 0 | 7 | 30:86 | 0 |

ბომბარდირები: რონი (იბერია) 24, გოგოხია (ჯუნგლები) 16, ბეტინიო (იბერია) 14, ნადარაია (აჭარა) 13.

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართველი ფანტაზისტა ოლიმპიაში



20 წლის ქართველი შემტევი ნახევარმცველი **დავით კაკულია** ბელცის "ოლიმპიაში" რომ ჩაირიცხა, ამაზე "ლელო" უკვე წერდა. მოლდოვური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ქართველი მხოლოდ ახლა წარადგინეს და საინტერესოდაც დაახასიათეს.

"საქართველოში გაზრდილ დავით კაკულიას მეტი თამაში სურდა, ამიტომ დატოვა სამშობლო და წამოვიდა მოლდოვაში. კაკულიასნაირ იმ ტიპის ფეხბურთელებს იტალიაში "ფანტაზისტას" უწოდებენ. გამჭრიახი გონება, არასტანდარტული გადაწყვეტილებები, კარგი ტექნიკა და პასი, შემოქმედებითობა შეტევისას," – ასე ახასიათებს ჩვენებურს "ოლიმპიას" ვებგვერდი.

შეგახსენებთ, რომ ბელცის "ოლიმპიაში" ჩარიცხვამდე კაკულია თამაშობდა თბილისის "ლოკომოტივში", რუსთავის "ოლიმპსა" და მოლდოვის უმაღლესი ლიგის სურუჩენის "სფინტულ გეორგეში".

**მერაბ მამულაშვილი**

# ზარია თუ გამოვიდა, პრობლემა არ იქნება

გუშინ **ვახტანგ კვარაცხელია** უკრაინაში გაემგზავრა. ქუთაისის "ტორპედოს" 22 წლის თავდამსხმელს ლუგანსკის "ზარიაში" გასინჯავენ. ეს კლუბის მენეჯერმა **დავით ყენიამ** გვაცნობა.

თუმცა ერთი რამ იყო გაუგებარი: კვარაცხელიამ მიმდინარე სეზონში ორი კლუბის ფორმა უკვე მოირგო - სეზონი "ვიტ ჯორჯიაში" დაიწყო, ევროთასებზეც იასპარეზა და ეროვნულ ჩემპიონატშიც, შემდეგ ქუთაისის "ტორპედოში" გადავიდა და იქაც ითამაშა, ფიფას წესებით კი სეზონში მესამე კლუბში გადასვლა აკრძალულია.

თუმცა, ყენიას თქმით, ეს ფაქტორიც გაითვალისწინეს და დააზუსტეს, რომ "ტორპედოში" 31 აგვისტოს გადასულ კვარაცხელიას "ვიტ ჯორჯიაში" გამოსვლა წლევანდელ სატრანსფერო სეზონში არ ეთვლება და პრობლემა არ შეექმნებაო.



ვახტანგ კვარაცხელია



ირაკლი კლიმიაშვილი

# კლიმიაშვილმა პოლონიაზე უარი თქვა

## ილურიძეს ანჟიმ კონტრაქტი შესთავაზა

მახაჩყალის "ანჟიმ" თურქეთში მეორე მოსამზადებელი ეტაპი დაიწყო. დაღესტნურ კლუბში "ვიტ ჯორჯიას" შემტევი ნახევარმცველი **ირაკლი კლიმიაშვილი** და 18 წლის თავდამსხმელი **გიორგი ილურიძე** ვარჯიშობენ. როგორც გვითხრეს, მათი დატოვების დიდი ალბათობა არსებობს, ილურიძეს უკვე 1+1 სისტემით კონტრაქტიც შესთავაზეს.

ამასობაში კლიმიაშვილით პოლონეთის უმაღლესი ლიგის მერვე ადგილზე მყოფი ვარშავის "პოლონიაც" დაინტერესდა, მაგრამ მასზე კლიმიაშვილმა უარი თქვა და ისევ "ანჟიში" ამჯობინა ბედის ცდა.

**მერაბ მამულაშვილი**

## ინგლისი. პრემიერლიგა. XXVII ტური



# უეინ რუნის შედევრი!

„ეს ჩემს კარიერაში ულამაზესი გოლი იყო,“ - თქვა მანჩესტერული დერბის შემდეგ **უეინ რუნიმ**. - „უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში გადამწყვეტი გოლის გატანა დიდებული გრძნობაა. გასახდელში რომ შევედი, ჩანაწერი ვნახე. იმ მომენტში ბურთს თვალს არ ვაცილებდი. მინდოდა, შეხების დროს არაფერი შემშლოდა. საბედნიეროდ, ის პირდაპირ ზედა კუთხეში შევარდა. დიდებული გამარჯვება მოვიპოვეთ. ახლა თუ ქვეყანა არ დაიქცა, „სიტი“ ჩემპიონობისთვის ველარ იბრძოლებს“.

პრემიერლიგის 27-ე ტურის მიმოხილვისას მარტო ეს ერთი ეპიზოდი რომ ვახსენოთ და მეტი არაფერი ვთქვათ, საკმარისი იქნება - შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ყველაფერი დიდებულად დავწერეთ და თქვენც დაგეუფლებათ შეგრძნება, რომ ბრწყინვალე მიმოხილვას კითხულობთ. მიზეზი მარტივია: თვალწინ ყველას რუნის შედევრი გვექნება. ეს საოცრება, „ოლდ ტრეფორდზე“, დერბის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე შეიქმნა და დამარცხებული „სიტის“ მწვრთნელს **რობერტო მანჩინის** ათქმევინა:

„როდესაც ისეთი ფანტასტიკური ფეხბურთელი, როგორიც უეინ რუნია ასეთ გოლს გაგიტანს, უნდა ადგე და ტაში დაუკრა. ძალიან მწყინს, რომ ჩემმა ბიჭებმა წააგეს თამაში, რომლის წაგებასაც არ იმსახურებდნენ“.

მიმომხილველებმა ჩხრეკა დაიწყეს: მანჩინი „ინტერის“ თავკაცობის წლებში მილანურ დერბიში მარცხდებოდა ხოლმე.

„მართლაც, „ინტერში“ გატარებული პირველი ორი წელიწადი მახსენდება, - დაადასტურა ისტლენდელთა თავკაცმა, - „მილანთან“ წაგებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ მაინც ვმარცხდებოდით. „მანჩესტერ იუნაიტედი“ ძალიან ძლიერი მენტალიტეტის გუნდია, ხანდახან მაშინაც იგებს, როდესაც ამას არ იმსახურებს“.

„იუნაიტედის“ მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმა** კი თქვა: „დღეს ნანიმაც საუცხოო გოლი გაიტანა, მაგრამ მასზე ლაპარაკს არც ერთი ჭკუათმყოფელი არ დაიწყებს, რადგან გადამწყვეტმა მომენტმა ყველაფერი დაჩრდილა. უეინმა მაკრატელა დარტყმით რამდენიმე წლის წინ ნიუკასლშიც გაიტანა და საერთოდაც, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ლამაზი გოლების გატანა სჩვევია, მაგრამ დღევანდელმა ისეთ მნიშვნელოვან მატჩს დაუსვა წერტილი, რომ მას ველარაფერს შევადარებ“.

ამ შეხვედრაში ყურადღება იმან მიიპყრო, რომ ფერგიუსონმა პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი **დიმიტარ ბერბატოვი** სათადარიგოთა სკამზე დასვა და მხოლოდ ბოლო 23 წუთის სათამაშოდ შეუშვა მოედანზე.

„დიმიტარის სათადარიგოთა სკამზე დასმა იოლი გადასაწყვეტი არ იყო. იძულებული გავხდი მისთვის ეს მეთქვა და დამესაბუთებინა, რომ სხვა გზა არ მქონდა. დღეს „სიტის“ ნახევარმცველები სხვანაირ ყურადღებას ითხოვდნენ, მით უფრო, რომ მათ შორის წინ და უკან მოხეტიალე სილვაც იყო,“ - განმარტა ფერგიუსონმა.

შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ წინა ტურში „ვულვერჰემპტონთან“ წააგო, ასე რომ, გამარჯვებათა გზაზე დასაბრუნებლად დერბიში გამარჯვება, მით უფრო ასეთი გოლით, საუკეთესო ხერხი გახლდათ. მეორე მხრივ, ფერგიუსონის გუნდს ამ სეზონში სტუმრად თამაში აქვს გასაუმჯობესებელი. თავად განსაჯეთ, „ოლდ ტრეფორდზე“ „იუნაიტედს“ მხოლოდ ორი ქულა აქვს დაკარგული, სტუმრად კი სამ თამაშზე მეტი არ მოუგია. ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ბოლო 12 მატჩიდან ლიდერს შვიდი სწორედ სტუმრად უწევს, მათ შორის „ჩელსისთან“, „ლივერპულთან“ და „არსენალთან“.

და რაკილა „არსენალი“ ვახსენეთ, მოდი, პირდაპირ მასზე გადავერთოთ - „იუნაიტედის“ მდევარი ხომ ის არის. „მეთოფეებმა“ „ვულვერჰემპტონს“ (ერთი კვირის წინ „მანჩესტერ იუნაიტედს“ რომ აჯობა) უმასპინძლეს და 2:0 მოუგეს. „არსენალსაც“ „იუნაიტედისა“ არ იყოს, წინა ტური დასავიწყებელი ჰქონდა - ნიუკასლში 4:0-ს იგებდა და 4:4 დაამთავრა. დაივიწყა კიდეც: ქომაგების გასახარად **არსენ ვენგერის** გუნდს არაფერი ეტყობოდა სულ ახლახან ფეხი რომ დაუცდა. „ვულვზის“ კარში ორივე გოლი **რობინ ვან პერსიმ** გაიტანა, თუმცა, ჩრდილოლონდონელებს მეტის გატანაც შეეძლოთ. ამ შეხვედრაში ძალიან კარგად ითამაშა **ჯეკ უილშირმა**, ახალგაზრდა ფეხბურთელმა, რომელსაც გასული კვირაში მთელმა ინგლისურმა პრესამ უსაყვედურა, სანაკრებო ამხანაგურ შეხვედრაში, შენს დანიელ თანატოლ **კრისტიან ერიკსენზე** კარგად რატომ ვერ ითამაშეო. უილშირისთვის ქების სიტყვები არც ვენგერმა დაიშურა:

„ჯეკი საუცხოო ფეხბურთელია, რომელიც დაცვაშიც შესანიშნავია და თავდასხმაშიც. ის თავს იცავს, უტევს, გოლები გააქვს და საგოლე პასებს აწვდის - მეტი რაღა უნდა მოვთხოვოთ? დღეს უილშირმა ბრწყინვალედ ითამაშა“.

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ სანდერლენდში გაიმარჯვა. ლონდონელთა გამარჯვების გოლი ლამაზი დარტყმით **ნიკო კრანჩარმა** გაიტანა. ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველმა, რომელიც ქართველი გულშემატკივრის ჯინაზე მაინცდამაინც 26 მარტის შესარჩევი შეხვედრის წინა პერიოდში შედის კარგ ფორმაში, ერთი კვირის წინაც საუცხოო გოლი გაიტანა - „დეზებს“ „ბოლტონთან“ მოაგებინა - და ახლაც იგივე გაიმეორა. ორივე შემთხვევაში ანგარიში 1:1 იყო და კრანჩარმა გადამწყვეტი გოლი შეაგდო.

„ძალიან სასიამოვნოა ორ შეხვედრაში 6 ქულა რომ მოვიპოვეთ, - თქვა მატჩის შემდეგ კრანჩარმა. - წარმოიდგინეთ, ლუკა მოდრიჩი, რაფაელ ვან დერ ვაარტი და გარეთ ბეილი გვაკლდნენ და მაინც შევძელით გამარჯვება. თან, თავიდან მოწინააღმდეგე დაწინაურდა. ეს იმას ნიშნავს, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ ძლიერი გუნდია“.

ამ გამარჯვებით „სფურზი“ მეოთხე ადგილზე გადავიდა, მაგრამ ეს მათი მყარი პოზიცია არ არის - დღეს საღამოს „ჩელსი“ „ფულჰემს“ ეთამაშება და თუ მოუგებს, კვლავ ძველ პოზიციაზე დაბრუნდება.

„ლივერპულისგან“ კი, ალბათ, არავინ ელოდა „უიგანს“ თუ ვერ მოუგებდა. ზედიზედ ოთხი თამაშში გამარჯვების შემდეგ გუნდი, რომლსაც მეოთხე ადგილზე გასვლა და ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა უნდა, შინ სუსტ მეტოქეებთან ქულებს არ უნდა კარგავდეს, მაგრამ წლეულს ინგლისში ისეთი ჩემპიონატია, რომ...

„წითლებისგან“ ისევ **რაულ მეირელეშმა** გაიტანა - ეს პორტუგალიელის მეხუთე გოლი გახლდათ ბოლო 6 შეხვედრაში, მაგრამ ამან მერსისაიდელებს ვერ უშველა - მეორე ტაიმში **სტივ გოჰურმა** ახლოდან გაათანაბრა ანგარიში. ცნობისათვის: **პეპე რეინას** 463 წუთის განმავლობაში გოლი არ ჰქონდა გაშვებული. აქ შეგვიძლია დავამატოთ, რომ „უიგანთან“ შეხვედრა „აიაქსიდან“ იანვრის ბოლოს 22,8 მილიონ ფუნტად ნაყიდი **ლუის სუარესისთვის** გახლდათ პირველი მატჩი „ლივერპულის“ სასტარტო შემადგენლობაში. ურუგვაელმა თავდადებით ითამაშა და დაამტკიცა, რომ მასში გადახდილი ფული ქარისთვის არ გაუტანებიათ - ძელსაც კი გაარტყა ბურთი. პრესკონფერენციაზე „წითლების“ თავკაცმა **კენი დალგლიშმა** აღნიშნა, რომ მის გუნდს სულ ცოტა დააკლდა, რაც ალბათ იმის ბრალი იყო, რომ შუა კვირაში მისი გუნდის ბევრი ფეხბურთელი ნაკრებში იყო გამოძახებული.

კიდევ, გვერდს „ვესტ ბრომვიჩისა“ და „ვესტ ჰემის“ ექვსგოლიან შეხვედრას ვერ ავუვლით. პირველ ტაიმში 3:0-ს „ვესტ ბრომვიჩი“ იგებდა, მეორეში კი **დემბა ბამ** და **კარლტონ კოულმა** ანგარიში გაათანაბრეს. ბამ, რომელიც პირველად თამაშობდა „ჩაქუჩების“ სასტარტო შემადგენლობაში ორი გოლი შეაგდო. ამ შეხვედრას „ალბიონის“ ახალი თავკაცი **როი ჰოჯსონი** ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. შემდეგ თამაშს ის უკვე სათადარიგოთა სკამიდან გაუძღვება. შედეგისა რა მოგახსენოთ და ის თამაში, რაც მისმა გუნდმა პირველ ტაიმში აჩვენა, ჰოჯსონს წესით უნდა მოსწონებოდა, მისი კოლეგა, „ვესტ ჰემის“ თავკაცი **ავრამ გრანტი** კი, ბუნებრივია, თავისი ბიჭების უტეხი სულით დარჩა კმაყოფილი.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური.

**ჰემილტონი-ჰართსი 0:2**

**გოლები:** 0:1 ელიოტი (22), 0:2 ელიოტი (47)

**ჰიბერნიანი-კილმარნოკი 2:1**

**გოლები:** 1:0 სოდიე (52), 2:0 პელსონი (70), 2:1 ჰემილი (74)

**რეინჯერსი-მოზერუელი 6:0**

**გოლები:** 1:0 ნეისმიტი (5), 2:0 იელავიჩი (34), 3:0 იელავიჩი (37), 4:0 ჰატჩისონი (76 ს.კ.), 5:0 იელავიჩი (79), 6:0 ჰილი (83)

**სტ. მირენი-ინვერნესი 3:3**

**გოლები:** 0:1 რუნი (6), 1:1 ჰიგდონი (28), 2:1 ტომსონი (29), 2:2 დორანი (33), 2:3 რუნი (61), 3:3 მაკგრეგორი (74)

**დანდი-სელტიკი 1:3**

**გოლები:** 0:1 სტოკსი (16), 0:2 უილსონი (36), 1:2 გუდვილი (64), 1:3 მაისტოროვიჩი (78)

*სტ. ჯონსტონი-აბერდინი გადაიდო*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 25 | 19 | 4 | 2 | 56:15 | 61 |
| 2. რეინჯერსი | 23 | 18 | 2 | 3 | 53:20 | 56 |
| 3. ჰართსი | 25 | 16 | 3 | 6 | 39:21 | 51 |
| 4. კილმარნოკი | 24 | 10 | 6 | 8 | 37:26 | 36 |
| 5. ინვერნესი | 25 | 7 | 9 | 9 | 34:33 | 30 |
| 6. დანდი იუნ. | 21 | 7 | 8 | 6 | 26:28 | 29 |
| 7. სტ. ჯონსტონი | 23 | 8 | 5 | 10 | 17:27 | 29 |
| 8. მოზერუელი | 24 | 8 | 4 | 12 | 26:33 | 28 |
| 9. აბერდინი | 23 | 7 | 2 | 14 | 23:42 | 23 |
| 10. ჰიბერნიანი | 24 | 5 | 4 | 15 | 23:42 | 19 |
| 11. სტ. მირენი | 24 | 4 | 7 | 13 | 21:41 | 19 |
| 12. ჰემილტონი | 23 | 2 | 8 | 13 | 14:41 | 14 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 15 - სემონი (კილმარნოკი); 13 - რუნი (ინვერნესი), სტოკსი (სელტიკი); 12 - გუდვილი (დანდი); 11 – ბლექმენი (აბერდინი), ჰუპერი (სელტიკი);

**შენიშვნა:** *კენი მილერი 2011 წლიდან „ბურსაში“ გადავიდა, ხოლო კონორ სემონი „უიგანში“*

## გამოტოვებული მატჩები

**15 თებერვალი.** ბირმინგემი-ნიუკასლი; **20 თებერვალი.** ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი; **22 თებერვალი.** ბლექპული-ტოტენჰემი; 23 თებერვალი. არსენალი-სტოკი.

**მანჩესტერ იუნ.-მანჩ. სიტი 2:1**

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): ვან დერ სარი - ო'ში, ვიდიჩი, სმოლინგი, ევრა - ნანი, სქოულზი (78. ქერიკი), ფლეტჩერი, გიგზი - ანდერსონი (67. ბერბატოვი), რუნი

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი - რიჩარდსი, ლესკოტი, კომპანი, საბალეტა - სილვა, ბერი, მილნერი (61. ჯეკო), კოლაროვი (52. რაიტ-ფილიპსი) - ი. ტურე, ტევესი

**გოლები:** 1:0 ნანი (41), 1:1 სილვა (65), 2:1 რუნი (78)

**გაფრთხილება:** სქოულზი, გიგზი - კომპანი, მილნერი

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 16-13; **კარში დარტყმა:** 11-14 (5-3); **თამაშგარე:** 2-3; **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 75 322

**არსენალი-ვულვერჰემპტონი 2:0**

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი - სანია, კოშელნი, ჯურუ, კლიში - უოლკოტი, უილშირი (77. დენილსონი), სონგი, არშავინი (72. შამახი) - ფაბრეგასი, ვან პერსი (72. ბენდტნერი)

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი - ზუბარი, ბერა, სტირმენი, ელოკობი - ჰემილი, მილიაში (63. ებანკს-ბლეიკი), ჰენრი, ჯერვისი - ო'ჰარა (63. ფოული), დოილი (80. ფლეტჩერი)

**გოლები:** 1:0 ვან პერსი (15), 2:0 ვან პერსი (56)

**გაფრთხილება:** ზუბარი (ვულვერჰემპტონი)

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 13-8; **კარში დარტყმა:** 18-2 (5-0); **თამაშგარე:** 2-4; **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 60 050

**ბირმინგემი-სტოკი 1:0**

**ბირმინგემი** (4-4-2): ფოსტერი - კარი, რ. ჯონსონი, ჟირანეკი, რიჯუელი - ლარსონი, გარდნერი, ფერგიუსონი, ბენტლი - ჟიგიჩი, მარტინსი (76. ჯერომი)

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილსონი, ჰუტი, შოუკროსი, პაფი - პენანტი (79. უილენი), დილეპი, უაიტჰედი, უოლტერსი - კ. ჯონსი (81. ფულერი), კარეუ

**გოლები:** 1:0 ჟიგიჩი (90)

**გაფრთხილება:** ჟირანეკი (ბირმინგემი)

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 16-17; **კარში დარტყმა:** 10-16 (4-4); **თამაშგარე:** 0-0; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 23 660

**ბლექბერნი-ნიუკასლი 0:0**

| ანსოატეგი-დეპ. ლარა | 2:1 |
| მინეროსი-სამორა | გვ. დასრ. |
| დეპ. ტაჩირა-კარაკასი | გადაიდო |

## მექსიკა

VI ტური

| | |
|---|---|
| ნეკაქსა-ამერიკა | 1:0 |
| ხაგუარესი-მონტერეი | 1:4 |
| კერეტარო-ტოლუკა | 0:5 |
| პაჩუკა-პუებლა | 1:0 |
| ტიგრესი-კრუს ასული | 2:0 |
| ატლასი-ს. ლაგუნა | 1:2 |
| ატლანტე-სან ლუისი | 0:0 |
| მორელია-ტეკოსი | 4:1 |
| პუმასი-გვადალახარა | 1:1 |

# ქართული სპორტი

**ძიუდო. ბუდაპეშტის მსოფლიოს თასი**

# ორი ბრინჯაო უნგრეთიდან

ჩვენმა ვაჟ-ძიუდოისტთა ნაკრებმა ორი ბრინჯაოთი დაამთავრა გამოსვლა ბუდაპეშტის მსოფლიოს თასზე. მედლები **ბეთქილ შუკვანმა** (60) და **დავით კარბელაშვილმა** (81) მოიპოვეს. **პეტერ ზაიზენბახერის** შეგირდთაგან ასევე ბრინჯაოს მოპოვების შანსი მძიმეწონოსან **ნოდარ მეტრეველსაც** ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ მეხუთეზე დარჩა. აქვე შევნიშნავთ, რომ მათგან შუკვანმა სანუგეშო წრით გაალწია მედლამდე, კარბელაშვილი და მეტრეველი ნახევარფინალში გავიდნენ.

შუკვანმა ხუთი შეხვედრა გამართა და ყველა წმინდად დაამთავრა – მოგებულიც და წაგებულიც. ამათგან მხოლოდ ერთი დათმო – ნახევარფინალში მომავალ ფინალისტთან, სომეხ **ჰოვანეს დავთიანთან**. სომეხი არც ურიგო მოჭიდავეა – ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორია, მაგრამ რალაცნაირად უხერხული სტილის ფალავანიცაა. მან ჩვენებური დაახლოებით შეხვედრის შუაწელში დააიპონა, მასთან ბრძოლამდე კი შუკვანმა ორი იპონი მიითვალა – ბელგიელ **დანიელ ბომბოირს** 20 წამში მოუგო, პერუელი **ხუან პოსტიგოს** დასამარცხებლად კი ცოტა მეტი დასჭირდა, ოღონდ მთელი შეხვედრა საგრძნობ უპირატესობას ფლობდა და თავიდან იუკოთიც დაწინაურდა. შუკვანს თავი არც სანუგეშო წრეში შეურცხვენია – მექსიკელი **ნაბორ კასტილიო** ჯერ გააფრთხილებინა, მერე ვაზარი აართვა, ბოლოს კი დააიპონა. ბრინჯაოსთვის შეხვედრაში ჩვენებურმა ბრაზილიელ **ბრუნო ალვეშს** იუკო და ორი ვაზარი აართვა, ანუ მისი უპირატესობა აქაც დიდი იყო.

17 და 20-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **დავით კარბელაშვილი** ჯერ 21 წლისაა და შედარებით ახალი სახეა ეროვნულ ნაკრებში. მართალია, ის აქამდეც ხვდებოდა ქვეყნის პრიზიორებში და მწვრთნელთა თვალთახედვის არეში, მაგრამ მთავარ გუნდში პირველ სერიოზულ სეზონს წლეულს ატარებს და არცთუ ურიგოდ – ჯერ თბილისის მსოფლიოს თასზე მოიპოვა ვერცხლი (ფინალი **ავთანდილ ჭრიკიშვილთან** წააგო), ახლა კი აქ გავიდა მესამეზე. მან პირველ წრეში პოლონელი **ლუკაშ ბლაჩი** დაამარცხა ორი იუკოთი, მერე კი ვაზარით სძლია თურქ **აჰმეტ სარის**, რომელსაც ჩვენებურები საკმაოდ ხშირად დაუმარცხებია. ძალზე გამოცდილი და ევროპის პრიზიორი იყო მისი მომდევნო მეტოქეც – სლოვენიელი **ალიას სედეჯი**, რომელსაც გორელმა ფალავანმა ჯერ იუკო აართვა, მერე კი ბეჭებზეც დააგდო. მეოთხედფინალში გერმანელ **რობერტ გესტსაც** სუფთად აჯობა დაახლოებით წუთ-ნახევარში, ნახევარფინალში კი გაფრთხილებებით წააგო ჩერნოგორიელ მომავალ ჩემპიონ **სრდჟან მრვალჯევიჩთან**. აქ მეტოქეებმა თითო იუკო მიითვალეს, მაგრამ ჩვენებური დამატებით ორჯერაც გააფრთხილეს და გადამწყვეტიც ეს აღმოჩნდა. მთლიანობაში, ეს მაინც ფრიად საკამათო შეხვედრა გამოდგა, მაგრამ კარბელაშვილსაც ცოტა მეტი მოეთხოვებოდა. ბრინჯაოსთვის ბრძოლაში დებიუტანტმა ქართველმა კიდევ ერთი გამოცდილი ფალავანი, ამერიკელი **ტრევის სტევენსი** დააიპონა. ერთი სიტყვით, სერბულ ბარიერთან წაფორხილების მიუხედავად, მისი ბუდაპეშტურიასპარეზობა მაინც დადებითად უნდა შევაფასოთ.

ნოდარ მეტრეველი ამ ტურნირის ერთ-ერთი სასიამოვნო გამონათება აღმოჩნდა. ბოლო წლებში ამ ბიჭზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონობაც მოასწრო, მაგრამ მერე თანდაყოლილმა სიზარმაცემ ნიჭის გამოვლენის შანსი არ მისცა. ის ერთი იმათგანია, ვისზეც ნაკრების ავსტრიელი თავკაც-კონსულტანტი **პეტერ ზაიზენბახერი** იმედებს ამყარებს. თუ ბუდაპეშტში ნანახით ვიმსჯელებთ, არცთუ უსაფუძვლოდ. მან პირველ წრეში უნგრელი **ადამ იუნასცი** სულ რალაც 1 წუთში დააიპონა, თუმცა უცნობ უნგრელთან წარმატება მოსალოდნელიც იყო, ფრანგ მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორ **პიერ რობინთან** მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვება ბევრად თვალსაჩინო წარმატებაა. იუკო, ვაზარი და იპონი – ჩვენებურმა ყველა სინჯის ქულა აუღო მეტოქეს ასეთივე ზრდადი თანმიმდევრობით და დიდი უპირატესობა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა. ფიზიკურად კარგად მომზადებული ალჟირელი **მოჰამედ ბუიჩაუი** კი გაუძალიანდა, მაგრამ მეტრეველმა ერთი გაფრთხილება და იუკო მაინც მიითვალა. ნახევარფინალში ქართველი ბრაზილიელ **რაფაელ სილვასთან** დამარცხდა, რაშიც მთავარ მიზეზად არასაკმარისი ფიზიკური მომზადება და წონის ნაკლებობა უნდა მივიჩნიოთ. მას არც ისე ძლიერი მეტოქე ჰყავდა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში – ჰოლანდიელი **ლუკ ვერბიხი**,

უნგრეთის მსოფლიოს თასის მონაწილე დანარჩენ ქართველებს რაც შეეხებათ, ახალგაზრდებში მსოფლიოს პრიზიორი **ზებედა რეხვიაშვილი** (73) პირველივე შეხვედრაში დამარცხდა – სერბ **მილოშ მიიალკოვიჩთან** ვაზარით წააგო. თითო შეხვედრა მოიგეს 90-ში მოასპარეზე **ლაშა გურულმა** და **საბა გავაშელიშვილმა**. გურულმა ახალგაზრდებში მსოფლიოს პრიზიორი და მასთან შედარებით ძალზე გამოცდილი ესტონელი **გრიგორი მინასკინი** დააიპონა, მერე კი უნგრელ **ტომაშ მადარაცისთან** დამარცხდა ვაზარით. გავაშელიშვილმა საფირმო ბრუნით უნგრელი **იშტვან ნაგი** გაიქნია საიპონედ, მერე კი უკრაინელთა ფერადკანიანთან, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონ **ქუდჯაუ ნჰაბალისთან** დამარცხდა ასევე სუფთად. **ალექსანდრე იაკობაშვილმა** (66) მოლდოველ **იგორ სოროკას** ორი ვაზარით სძლია, პორტუგალიელთა რუს **სერგეი ოლეინიჩს** იუკოთი აჯობა, მომდევნო წრეში კი ფრანგ **პიერ დუპრასთან** წააგო ორი გაფრთხილებით.

მთლიანად ტურნირის მიმდინარეობიდან გამოვარჩევთ უნგრელი ძმების – **ატილა** და **მიკლოშ უნგვარების** ფინალს 73-ში, მონღოლურ ფინალს 100-ში და კამერუნელი **ფრანკ მუსიმა ევანეს** ბრინჯაოს მედალს. ძმების შეხვედრაში უმცროსმა ატილამ იმარჯვა, რომელიც სულ უფრო უმატებს და ევროპის პრიზიორიცაა, თუმცა ტიტულებით ჯერ მაინც ჩამორჩება ევროპის ორგზის ჩემპიონსა და მსოფლიოს სამგზის ბრინჯაოს მედალოსან ძმას. მონღოლთა დაპირისპირებაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნაიდინ ტუვშინბაიარმა** დამაჯერებლად იმარჯვა, კამერუნელმა კი ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ბრაზილიელ მსოფლიოს ჩემპიონ **ლუსიანო კორეას** აჯობა.

**ჰვარცხლბეკის ვაჟები**

**60 კგ.** 1. ჰიროფუმი იამამოტო (იაპონია), 2. ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი), 3. **ბეთქილ შუკვანი** (საქართველო), ფელიპე კიტადაი (ბრაზილია).

**66 კგ.** 1. ჯუნპეი მორიშიტა, 2. მასაში ებინუმა (ორივე – იაპონია), 3. პიერ დუპრატი (საფრანგეთი), არმენ ნაზარიანი (სომხეთი).

**73 კგ.** 1. ატილა უნგვარი, 2. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი), 3. იასუჰირო ავანო, რიკი ნაკაია (იაპონია).

**81 კგ.** 1. სრდჟან მრვალჯევიჩი (სერბეთი), 2. ალაინ შმიტი (საფრანგეთი), 3. **დავით კარბელაშვილი** (საქართველო), ივან ვორობიოვი (რუსეთი).

**90 კგ.** 1. დაიკი ნიშიამა (იაპონია), 2. კამალ მაგომედვი (რუსეთი), 3. მასაში ნიშიამა (იაპონია), მაქს შინჰოფერი (ავსტრია).

**100 კგ.** 1. ნაიდინ ტუვშინბაიარი 2. ტამუულენ ბატულგა (მონღოლეთი), 3. კაიჰან ტაკაგი (იაპონია), ფრანკ მუსიმა ევანე (კამერუნი).

**+100 კგ.** 1. რაფაელ სილვა (ბრაზილია), 2. მატიას სერაი (სლოვენია), 3. ლუკ ვერბიხი (ჰოლანდია), რენატ საიდოვი (რუსეთი), 5. **ნოდარ მეტრეველი** (საქართველო).

**ირაკლი თავაძე**

**წყალბურთი**

# ისევ ლიგამუსი და ივერია

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" წინა უქმეებზე 1995-1996 წლებში დაბადებულმა წყალბურთელებმა საქართველოს პირველობის სასტარტო ეტაპის შეხვედრები გამართეს. სამ-სამი მოგებით „ლიგამუსისა" და „ივერიის" გუნდები დაწინაურდნენ. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა უმცროს (1997-1998 წლებში დაბადებულთა) ასაკშიც. როგორც გაუხვდით, აქ 6 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. სტარტზე „ლიგამუსი" „ტონუსს" სძლია 27:2, „ივერიამ" (1)-„თბილისს" 22:2, „ბათუმმა" „ივერია-2" დაამარცხა 11:6. მომდევნო ორი დღის შედეგები კი ასეთია: შაბათი. „ჯორჯია"-„ქუთაისი" 3:8, „ტონუსი"-„ბათუმი" 6:14, „ლიგამუსი"-„ივერია (2)" 22:3, „თბილისი"-„ქუთაისი" 11:2. „ჯორჯია" [illegible] კვირა. „ტონუსი"-„ივერია-2" 3:11, „ჯორჯია"-„თბილისი" 10:21, „ბათუმი"-„ლიგამუსი" 1:17, „ივერია(1)"-„ქუთაისი" 29:0.

მეორე ეტაპის მატჩები 12-14 მარტს გაიმართება.

წუხელ საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ბითაძის ხელმძღვანელობით 1995-1996 წლებში დაბადებულთა საქართველოს ნაკრები (ცოტნე ინწკირველი, ლაშა კორიაშვილი, ზურაბ ჩიქვაიძე, ხვიჩა ჯავახია, სანდრო ყაზახაშვილი, ლუკა კახეთელიძე, გიორგი ჩომახაშვილი, რეზო იმნაიშვილი, ნიკა ჩერქეზიშვილი, დათო რეჭია, გიორგი შქარვიძე, გიორგი გაბადაძე, ანდრია ბითაძე, დათო კაკულია, მთავარი მწვრთნელი იოსებ ჰოპოლიანი, მწვრთნელი ირაკლი ბაქრაძე) ნოვი სადს გაემგზავრა და 16 თებერვლიდან თანატოლთა მორის [illegible] ჩემპიონატში ჩაებმება. პირველ ეტაპზე ჩვენი ბიჭები ქვეჯგუფში წრიული სისტემით ხუთ შეხვედრას გამართავენ.

**ვაჟა დანელია**

● თავისუფალი ჭიდაობა

## მხოლოდ ერთი შანსი

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები სტამბოლში დამთავრებულ იაშარ დოგუს სახელობის ტურნირზე პირველ დღეს **ვლადიმერ ხინჩეგაშვილის** მიერ მოპოვებული ოქროს მედლის ამარა დარჩა. შაბათკვირას მოჭიდავე ჩვენებურებიდან ჯილდოსთვის მხოლოდ ევროპის ვიცეჩემპიონმა **კობა კაკალაძემ** (66) იჭიდავა, მაგრამ საბოლოოდ ისიც უმედლოდ ვიხილეთ. იგი ნახევარფინალში რუს **დმიტრი შედრინთან** დამარცხდა ძირითად დროში, ბრინჯაოსთვის შეხვედრა კი მასპინძელ **სერვეტ სოსკუნთან** დათმო. სამწუხაროდ, **მალხაზ ზარქუა** (60), **ილია ხუციშვილი** (66), **დავით მარსაგიშვილი** (84), **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120) ადრევე დამარცხდნენ.

**ირაკლი თავაძე**

## თედიაშვილის თვალწინ



საგარეჯოში არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსში ადგილობრივმა სპორტსკოლამ ჭაბუკთა ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩაატარა **ოთარ არჩვაძის** (1960-2010) პირველი მემორიალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. დიდთოვლობის მიუხედავად, ნაქერალას უღელტეხილი გადმოლახეს და ამბროლაურიდანაც ჩამოვიდნენ საასპარეზოდ...

ორთაბრძოლების სიფიცხეს ისიც ზრდიდა, რომ ჭაბუკებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალყურს ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი ქართველი მოჭიდავე **ლევან თედიაშვილი**. მთავარი პრიზი დაიმსახურა **მიხეილ შათირიშვილმა** (59 კგ). გათამაშდა აგრეთვე **გიორგი** და **შალვა გზირიშვილების** პრიზები.

საგარეჯო ნელ-ნელა ცდილობს დაიბრუნოს თავისუფალ ჭიდაობაში სასახელო ტრადიციები. ახალგაზრდებში შარშან მსოფლიოს ჩემპიონი გახდა **დავით ხუციშვილი** (74 კგ). აქ გახშირდა ტურნირები, გარემონტდა საჭიდაო დარბაზი...

**მემორიალური ტურნირის გამარჯვებულები არიან:** უმცროს ასაკში - **იური ყალაბეგიშვილი (გურჯაანი), შამილ გაჯიევი (ყვარელი), გიორგი შათირიშვილი, მიხეილ ბოჭორიძე (ორივე - საგარეჯო), თორნიკე ასაბაშვილი, ზელიმხან საიდოვი, ნიკოლოზ ბუშელაშვილი (სამივე-ყვარელი), თორნიკე მესხიშვილი (ოლიმპიური მზადების ცენტრი), დავით ქოჩქიანი (დილომი), ზაალ ფსუტური**

**(თბილისი).** უფროს ასაკში - **ლევან ინასარიძე, ლერი გვირჯიშვილი (ორივე - სოფ. გამარჯვება), მამუკა ჩაჩუა (ცერცვაძის სკოლა), დავით კურდღელაშვილი, მიხეილ შათირიშვილი (ორივე-საგარეჯო), გივი მაჭარაშვილი (მცხეთა), ლევან ბოჭორიძე (საგარეჯო).**

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

● ჭადრაკი

## ბაზალეთზე გადამწყვეტი ბრძოლისთვის

ყატარის დედაქალაქ დოჰაში 22 თებერვლიდან 5 მარტის ჩათვლით ფიდეს ქალთა გრანპრის ბოლო მე-6 ეტაპი გაიმართება. მთავარი პრიზისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდებიან **ჰამფი კონერუ** (ინდოეთი, 2607), **ნანა ძაგნიძე** (საქართველო, 2550), **ანტოანეტა სტეფანოვა** (ბულგარეთი, 2546), **პია კრამლინგი** (შვედეთი, 2516), **მაია ჩიბურდანიძე** (საქართველო, 2502), **მარი სებაგი** (საფრანგეთი, 2489), **სიუ იუჰუა** (ჩინეთი, 2484), **ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი, 2475), **ელინა დანიელიანი** (სომხეთი, 2454), **შენ იანი** (ჩინეთი, 2443), **ბათჰუიაგ მონგონთუული** (მონგოლეთი, 2410), **მარტა ფიერო** (ეკვადორი).

ერთ-ერთმა რუსულმა საჭადრაკო საიტმა იჩქარა და ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი **ჰოუ იფანი** ამ ტურნირის ვადამდე გამარჯვებულად ცნო, რაც სიმართლეს არ შეეფერება: ჩინელმა დიდოსტატმა ულანბატორში პირველი ადგილი (160 ქულა) დაიკავა, ნალჩიკში — მეორე (130), ხოლო სტამბოლში მეორე-მესამე ადგილები გაიყო დანიელიანთან, რის გამოც, 120 ქულა დაიმსახურა. ამდენად, სამი ეტაპის ჯამში 410 ქულა მოაგროვა და დაწინაურდა. მას 20 ქულით ჩამორჩება ძაგნიძე, რომელიც მე-2 ადგილზეა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონისგან განსხვავებით, იგი ყატარში ასპარეზობს, სადაც პირველ ან მეორე ადგილზე სუფთად გასვლის შემთხვევაში 160 ან 130 ქულას დაიმსახურებს, უარეს შემთხვევაში 420 ქულას (160+130+130) მოაგროვებს და პირველ ადგილზე გადაინაცვლებს. ამ შემთხვევაში მისთვის მეტოქეობის გაწევა თვით კონერუსაც არ შეუძლია, რომელიც პირველ ადგილზე გასვლის შემთხვევაში მხოლოდ 413,3 ქულას მოაგროვებს. ნანა ძაგნიძემ საერთო ჩათვლაში ჰოუ იფანის შემდეგ მეორე ადგილიც რომ დაიკავოს, წლის მიწურულს ჩინელ დიდოსტატს მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის დაუპირისპირდება. ძაგნიძე ამჟამად ბაზალეთზე იმყოფება და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის დაფინანსებით გრანპრის ბოლო ეტაპისათვის ცნობილ სპეციალისტ **მიხალჩიშინთან** ემზადება, რომელიც ჩვენებურს ყატარშიც გაუწევს დახმარებას.

**ვაჟა დანელია**

● ფოტოსიუჟეტი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ახალი სპორტული სეზონი ძალას იკრებს. ნაკრები გუნდების წევრები და კანდიდატები ახლა მეტწილად ტესტებს აბარებენ საერთო ფიზიკურ მომზადებაში. სურათზე: ნიჩბოსნები დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში.

## თავგადასავლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსნობაში ქეთევან ლოსაბერიძე იგონებს



**დებიუტი**

მშვილდოსნობა, როგორც სპორტის სახეობა ჩვენში 1957 წელს დამკვიდრდა. 1960 წელს გადამდგარმა ვიცეპოლკოვნიკმა შალვა ჯაშიაშვილმა ჩამოაყალიბა ქუთაისში მშვილდოსნობის სექცია და პედაგოგიური ინსტიტუტის შენობაში 10 სტუდენტ გოგონას გვავარჯიშებდა, რა თქმა უნდა, გულმოდგინედ შერჩევის საფუძველზე. ყურადღება ექცეოდა აღნაგობას, მკლავის სისწორეს და ა.შ.

თავიდან საოცრად გაგვიჭირდა, მერე ისე გაგვიტაცა, ჩვენივე სურვილით ზედმეტადაც კი ვვარჯიშობდით.

ისრებს მწვრთნელი ამზადებინებდა საავეჯო ფაბრიკაში, მაგრამ პრობლემა გაჩნდა, - ისარს ბოლოში აუცილებლად სჭირდებოდა ფრთა, რომელიც მოგვიანებით პლასტმასისგან მზადდებოდა, ჩვენ კი ინდაურის ფრთას ვიყენებდით. მწვრთნელის დავალებით ინდაურის ფრთები თვითონ უნდა გვეშოვა და „კურიოზიც“ აქედან დაიწყო.

**ოპერაცია „ინდაური“**

ფული თქვით, თორემ როგორც ახლა, მაშინაც ქუთაისის ბაზარში ინდაურს კი არა „გადამდნარ“ ოქროს იშოვიდი. სად გვქონდა სტუდენტებს იმდენი ფული, რომ ისრებისთვის სამყოფი ინდაურები გვეყიდა?

ათივე მომშვილდოსნე გოგონა ბაზარს მივადექით.

ინდაურის გამყიდველ ქალებს თვალები გაუბრწყინდათ.

- აქეთ მოდით, დედა, - გვეაპატიჟება ჭრელთავსაფრიანი ქალი. ჩვენ ფრთებს ვაკვირდებით.

- ა, დედა, - აგრძელებს ქალი, - რომელი მოგწონთ, დედალი თუ მამალი?

- დეიდა, ჩვენ ფრთა გვინდა... გაბედა ერთმა ჩვენი გუნდიდან.

- რა გიყოთ, დედიკო, ფრთას კი მოგყიდით, მაგრამ ინდაურიც მოჰყვება იმ ფრთას. მაინც რად გინდათ ფრთა?

- ჩვენ სპორტსმენები ვართ... ვთქვით მორცხვად.

- მფრინავი სპორტსმენები ბრძანდებით, დეიდა?

- არა, ჩვენ მშვილდოსნები ვართ.

- მშვილდოსნები... მშვილდოსნები... გააგრძელა ისევ უსაშველოდ.

- არა, უფულოდ არ გვინდა, ფულს გადაგიხდით, დეიდა. ავუხსენით, თუ რატომ და რისთვის გვჭირდებოდა ეს ამოჩემებული ინდაურის აუცილებელი ატრიბუტი.

- ესე იგი, ფრთები დავაგლიჯო, შვილო?

- კი, თუ შეიძლება, რაც ღირს, გადაგიხდი...

- დავუშვათ, მარა უფრთო ინდაურს ვინლა იყიდის, დედა?!. რა ვუთხრა მე, მყიდველი რომ გამოჩნდეს?

- გეხვეწებით, რა, დეიდა!

- ჯანდაბას! - მოულოდნელად გადაწყვიტა ქალმა - მე იქით მივიხედავ, ვითომ ვერ ვხედავ. ამის თქმა და ვებდღვენით ინდურებს ათივე.

ისეთი კრიახი ატყდა, მთელი ბაზარი ჩვენკენ მობრუნდა.

- მიწისძვრა იქნება აუცილებლად! - იყვირა ვილაც ჭალარაშერეულმა კაცმა.

- გამიგონია მე, ინდაურები რომ აკრიახდებიან, მიწისძვრაა მოსალოდნელი!

- მიწისძვრა, ძაღლები რომ ყეფენ, მაშინ ხდება, - არ დაუჯერა მეორემ.

- ძაღლები სულ ყეფენ, კარგი ერთი! - გამოჩნდა სხვა „სწავლული“.

ჩვენ ამასობაში ჩვენი საქმე მოვათავეთ.

მორჩა! - ჩვენი წილი დავალება შესრულებული იყო.

...სულ ორ კვირაში ისევ გახდა საჭირო ახალი ფრთები. კვლავ მივედით ბაზარში.

- დეიდა... (ახლა სულ სხვა ქალს მივადექით) - ჩვენ ფრთ...

- ა, არა, არრრააა! - ხელები გაასავსავა ქალმა. ფრთები არ გამაგონოთ! თავი მოაჭერით, ოლონდ ფრთები არა... უთავო ინდაურს კიდევ იყიდის ვინმე, უფრთოს?.. არაა!

მაგრამ ჩვენი გაჩერება არც ისე ადვილი იყო. ისევ „გავაუფრთოვეთ“ ორისამი ინდაური.

ქუთაისი არც ისე დიდი ქალაქია და არც ისე ადვილად იმალება ყველაფერი. თითქმის ყველა ქუთაისელმა გაიგორა „ცოდვას“ ვატრიალებდით მშვილდოსანი გოგონები.

**მიუნხენი**

წარმატება წარმატებას მოსდევდა.

თუმცა, როგორც ცხოვრება, სპორტიც სავსეა სიხარულით და სევდით. მიუნხენში, საკმაოდ თავდაჯერებული გამოვდიოდი. ლაღად ვისროდი დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებში. სამწუხაროდ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვსურს. გამარჯვებისთვის ბრძოლაში ოთხციფრიანი ქულა იყო საჭირო. მესამე საპრიზო ადგილი დიდი მიღწევა იყო ჩემთვის, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვსურს. არ ვიცი, რისი (ვისი?!) ან საერთოდ... საპრიზო ადგილს მხოლოდ ერთმა... ერთადერთმა ქულამ დამაშორა.

იყო ტირილი განბილების გამო... იყო დეპრესია, მაგრამ ჩემიანების იმედიანმა სიტყვებმა მომგვარა შვება: „რა მოხდა, წაგება და მოგება ძმები არიანო“.

რას იზამ? - ხდება... მომავალი წინაა!

მახსენდება მაშინდელი მოარული ფრაზა:

„ქეთევან ლოსაბერიძემ ოქრო დათმო, ვერცხლი დაკარგა, მხოლოდ ბრინჯაო გააჩუქა!“

ამით ყველაფერი ნათქვამია და მეც აღარაფერს დავამატებ.

**მოსკოვი-80**

ძალიან შემცდარა, ვინც ფიქრობს, რომ მწუხარებას უნდა დანებდეს. არსებობს კანონზომიერება - „ალმართს დაღმართი მოსდევს ყოველთვის“.

მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადაზე სრულად მობილიზებული გამოვედი. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი - გამარჯვება!

რა დასამალია, მაშინ გლდანში ვცხოვრობდით და ხელმძღვანელობამ პირობა მომცა: „ოღონდ საპრიზო ადგილი... ბრინჯაოც კი... და ბინა პრესტიჟულ ადგილზე თბილისში გარანტირებული გაქვსო. ამას დაერთო ჩემი მეგობრის, ვიქტორ სანეევის გადაკრული ფრაზა: „ქეთევან, შენ ძალიან შორიდან უახლოვდები თბილისსო“ (თვითონაც თავდაპირველად დიღომში ცხოვრობდა).

ღმერთო, მიშველე!!!

მთელი ძალების მობილიზება... შეკრული სუნთქვა... გადამწყვეტი სროლა... ღმერთო, მიშველე - ერთხელაც აღვაპყარი თვალი ზეცას და გამარჯვების ისარი ზუსტად ჩაერჭო იქ, რამაც იმ დროის საქართველო მიწიდან ცაში ააგდო, ააფრინა...

გმადლობ, უფალო! - მე ჩემპიონი ვააარრ!!!

ეს იყო ქართული სპორტის ტრიუმფი (ერთ-ერთი, მრავალთა შორის).

თბილისის აეროპორტი...

ზღვა ხალხი, ულევი აპლოდისმენტი... მადლიერი ქართველი ერი. „ქეთევანი ჩემპიონია! ქეთევანი საქართველოს სიამაყეა“!

რეპორტიორთა ზღვა ჩემს საყვარელ დედაქალაქში. აეროპორტში დამხვდურთა ტევა არ არის. თვალებით ვეძებ მეუღლეს, ჩემს უსაყვარლეს ადამიანს, რომელმაც ყველანაირად შემიწყო ხელი ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში. არ ჩანს... არა... ელდა მეცა, რა ხდება?! სადაა ის, ვისაც უნდა ჩავეხვიო და სიხარულის ცრემლი გავუზიარო? არა, არ ჩანს... ჩამწყდა გული.

დიიიიიდი, უზარმაზარი თაიგული მიახლოვდება... მოდის, მოდის და მოვიდა, როგორც იქნა.

თაიგულის უკან არ ჩანდა ჩემი მეუღლე, ეს მთასავით კაცი...

„აი სად ყოფილა“... აბა, მასზე დიდი თაიგულს ვინ მომართმევდა?!

მერე?

მერე კი გაჩნდა მოარული ფრაზა საქართველოში: „ქეთევანი ისარს თბილისის პრესტიჟული უბნის ბინას უმიზნებდა და რას აცილებდაო?!“

ეს ისე, მურმან, მხიარულ თემას რომ მთხოვთ, თორემ მაშინ ბინა სად მახსოვდა?“

P.S. ყველაზე საინტერესო ან თავში უნდა ითქვას, ან ბოლოში. მე ბოლოსთვის შემოვინახე.

დავიბადე ტყიბულის რაიონში. დედა ძალიან პატარას გარდამეცვალა, 9 დედმამიშვილი დავრჩით. უფროსმა დამ წამომიყვანა და დამაფრთიანა ქუთაისში. მოგვიანებით მამამ მეორე ცოლი შეირთო.

„დედინაცვალი, თვალში ნაცარი“ - საბედნიეროდ, ჩემზე არ გავრცელდა. კარგი, კეთილშობილი ქალი გამოდგა და ყველას გაგვიზიარა თავისი სითბო და სიყვარული.

გამოხდა ხანი, გოგონა შემეძინა.

ბავშვობაში - ჩემი გოგონა დავისვი და ვესაუბრები, თუ როგორი უნდა იყოს ქალი, როგორი თბილი დედინაცვალი მყავდა, როგორ მიგვილო და მოგვიარა ობლებს, როგორი კეთილშობილი იყო და რა სითბო ჩაგვინერგა.

ვატყობ, ჩემი გოგონა დასევდიანდა.

- რა იყო, შვილო? - ვეკითხები.

- არა, ისე...

- მაინც რა იყო? - ვეკითხები ცრემლმორეულს.

- მეც მინდა ეგეთი დედინაცვალი! - თქვა ბოლოს.

ელაპარაკე ახლა ამას...

...კეთილი სურვილებით - ქეთევან ლოსაბერიძე.

**მურმან მერკვილიშვილი**

● ჩოგბურთი

## ეკა რვაზე გააჩერეს

მართალია, გასული კვირის მიღწევა ვერ გაიმეორა, მაგრამ 19 წლის **ეკა გორგოძემ** მალიორკის მეორე ტურნირშიც კარგად იასპარეზა. 10-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალში გორგოძე 18 წლის ვენესუელელ **ანდრეა გამისს** (488) შეხვდა და ძალიან იოლად აჯობა - 6:1, 6:1. ნახევარფინალში მას 18 წლის ესპანელი **ლარა არუაბარენა** (326) ელოდა, რომელიც მე-4 ნომრად იყო განთესილი მალიორკაში. ეს თამაში ორ სეტში არუაბარენამ მოიგო (6:3, 7:6 (1)), რომელიც საბოლოოდ მალიორკის ტურნირის გამარჯვებულიც გახდა. ორი შეჯიბრების განმავლობაში გორგოძემ ზედიზედ 8 მატჩი მოიგო.

ახლა მალიორკაში მიჯრით მესამე ტურნირი გაიმართება, თუმცა წინა ორისგან განსხვავებით, საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია და ჩვენებურები საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაერთვებიან: მე-12 ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაია** (416) ბულგარელ **იულია სტამატოვას** (875) ეთამაშება, ეკა გორგოძე - სლოვაკ **ვივიენ იუჰაცკოვას** (664), ხოლო **ნინო სუჯაშვილი** - პოლონელ **აგატა ბარანსკას**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

● სუპერლიგა. XIII ტური

# რიჩარდ XIII

12 თებერვალს სპორტის სასახლეში მე-13 ტურის სამი მატჩი გაიმართა. საინტერესოა, რომ წინასწარ მხოლოდ ერთი შეხვედრის გამარჯვებულის გამოცნობა შეიძლებოდა - შსს-"დინამო".

აღსანიშნავია: „სოხუმი" თსუ-სთან თამაშზე გაიყვანა ლატვიელმა მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა**, თუმცა სუპერლიგაში ფავორიტთათვის ყველაზე უხერხულ მეტოქეს გადაეყარა და **ნუგზარ ჭეიშვილის** თსუ-სთან ვერაფერი გააწყო.

მე-13 ტურის საუკეთესო კალათბურთელად სხვა ვინ უნდა დაგვესახელებინა, თუ არა მე-13 ნომერი: ტურის მოთამაშედ თსუ-ს მეფარე **რიჩარდ მათიაშვილი** დავასახელეთ, რომელსაც მეტოქე გუნდის მწვრთნელმა არაერთი კომპლიმენტი უძღვნა...

**12 თებერვალი**

**სპორტის სასახლე**

**დინამო-შსს 68:96**

**4:24, 23:27, 23:21, 18:24**

**დინამო:** ივანეიშვილი (12ქ), პატარაია (15ქ), თვაური (6ქ), გლუნჩაძე (2ქ), შალიკიანი, ცაგარეიშვილი, ალხანაიძე (17ქ, 12მ), თავამაიშვილი (2ქ), გულდედავა (4ქ), ჩაველაშვილი (10ქ).

**შსს:** მიქაბერიძე, ლაფანაშვილი, ბ. ლეჟავა (10ქ), ნიკოლაძე (14ქ), მარკოიშვილი (9ქ), ტუჯანი (2ქ), დ. ბარბაქაძე (6ქ, 10მ), შერმადინი (18ქ, 14მ), დეკანოიძე (6ქ), წივწივაძე (10ქ, 8მ, 7პ), ტომარაძე (16ქ), სუხიშვილი (5ქ).

**მსაჯები:** დ. არეშიძე, ხ. გაბედავა

**კომისარი:** რ. გელოვანი

შაბათს პირველ შეხვედრაში ერთმანეთის წინაშე „დინამო" და შსს წარდგნენ. ძალოვნებს ორი მწვრთნელი ჰყავთ, **დავით უსტიაშვილი** და **არჩილ ჟღენტი**, ხოლო „დინამოს" ერთი - **დავით თორთლაძე**, თუმცა იგი შაბათს ავად იყო და დარბაზში ვერ გამოცხადდა.

ლოგიკურად, მოიგო ორმწვრთნელიანმა და ორჯერ გამოცდილი შემადგენლობის შსს-მ. პირველივე წუთებზე 16:0 სპურტის მოწყობის შემდეგ მატჩს ინტრიგა დაეკარგა.

ნიშანდობლივია, რომ შსს-ს შემადგენლობაში **სოსო შერმადინმა** 21 წუთი ითამაშა. გუნდის თავკაცები კარგად ხვდებიან, რომ **დავით იმნაძის** ტრავმის შემდეგ ფარქვეშეთის გაძლიერება სჭირდებათ. ამისთვის აუცილებელია, მათ ხელთ არსებული რესურსიდან შერმადინისა და **სუხიშვილის** ბოლომდე გამოყენება.

ჰოდა, შაბათს სოსომ დაამტკიცა, რომ ფარქვეშ მისი ნდობა შეიძლება: 21 წუთში 18 ქულა და 14 მოხსნა მოაგროვა.

**12 თებერვალი**

**სპორტის სასახლე**

**სოხუმი-თსუ 59:71**

**13:20, 15:19, 16:13, 15:19**

**სოხუმი:** ფარლალავა (19ქ), ჰარისი (5ქ), ჩლაიძე, კვეტენაძე (4ქ), შანიძე (8ქ), სორდია (6ქ), კანკია (3ქ), კ. დამუსი (4ქ), რ. დამუსი (10ქ, 12მ), ანთაძე.

**თსუ:** ხიზანიშვილი, გაფრინდაშვილი (9ქ), ლონდარიძე (5ქ), კორკოტაძე (3ქ), ჩიტაშვილი (11ქ), მათიაშვილი (22ქ, 14მ), მ. ბერიშვილი (19ქ, 11მ), მაისურაძე (2ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**კომისარი:** მ. რატიშვილი

## თავით მოთამაშე...

საქართველოში ერთი კვირის წინათ ჩამოსულმა მწვრთნელმა **აინარს ბაგაცკისმა** სადებიუტო მატჩი თსუ-სთან ჩაატარა და უკმაყოფილო დარჩა. თამაშის შემდეგ მისი პირველი შთაბეჭდილებები მოვისმინეთ და, ვფიქრობთ, ბაგაცკისის სიტყვებიდან მატჩის მსვლელობაზეც შეგექმნებათ შთაბეჭდილება და ზოგადად საქართველოს ჩემპიონატის რაობაზეც:

*- ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩემი გუნდის კალათბურთელები პირველ მეოთხედში ნერვიულობდნენ. წინასწარ დაგეგმილს ვერაფერს ვაკეთებდით და ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით. შემდეგ დავმშვიდდით, დაცვაში თამაშიც გამოვასწორეთ, მაგრამ ბოლოს სროლის სიზუსტემ გვიმტყუნა. ბურთი მეტოქის კალათში არ ეშვებოდა. „სოხუმში" ვერ გამოინახა კაცი, რომელიც თსუ-ს მე-13 ნომერს (რიჩარდ მათიაშვილი) შეაჩერებდა, იგი მაღალი ნახტომით არ გამოირჩევა, მაგრამ თავით კარგად თამაშობს - ჭკვიანი კალათბურთელია.*

აქვე ჩავურთავთ: ქართველი რიჩარდის მეურვეობა ამერიკელ რიჩარდს (**დამუსს**) ევალებოდა. მეორე ტაიმში მათიაშვილმა ფეხიც იტკინა და მოედანზე კოჭლობით გადაადგილდებოდა, მაგრამ გუნდისთვის მაინც დიდი სარგებელი მოჰქონდა. პრესლოჟაში ერთ-ერთმა ჟურნალისტმა გაიხსენა კიდეც: რიჩარდ III ლომგულიც კოჭლობდაო... ინგლისელი რიჩარდისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართველი რიჩარდ მათიაშვილი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელეთ. მან 36 წუთში 22 ქულა (14-დან 8 ორქულიანი, 8-დან 6 საჯარიმო), 14 მოხსნა, თითო პასი-ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა.

„სოხუმმა" ბევრი კი იბრძოლა, მაგრამ თსუ-სთან ვერაფერს გახდა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ თსუ წლების განმავლობაში კარგად შეთამაშებული გუნდია, რომელსაც ნუგზარ ჭეიშვილის სათამაშო სტილიც თარგივით აქვს მორგებული და, იმის მიუხედავად, რომ სტუდენტებს სამი წამყვანი კალათბურთელი აკლდათ, ამ ტაქტიკაში ახალბედებიც იოლად ჯდებიან. „სოხუმს" კი ახალი მწვრთნელი, ახალი სტრატეგია აქვს - როგორც გითხარით, მთავარი მწვრთნელის პოსტზე აინარს ბაგაცკისმა პირველი შეხვედრა ჩაატარა. უქმეების შემდეგ იგი სამშობლოში გაბრუნდა, რათა საქართველოში მაისამდე დასარჩენად გამზადებული დაბრუნდეს. კონტრაქტიც მისი ჩამოსვლის მერე გაფორმდება.

**12 თებერვალი**

**სპორტის სასახლე**

**სტუ-ენერჯი 83:51**

**16:9, 20:15, 28:8, 19:19**

**სტუ:** ჭოხონელიძე, ვ. ბერუაშვილი (10ქ, 11მ), ჩიკვილაძე (20ქ), ლომოური (18ქ), გასიტაშვილი (3ქ), მაჩალაძე (7ქ), თევზაძე (4ქ), კობიძე (4ქ), ჯანგველაძე, ლაშქარაძე, ძიძიგური (2ქ), ახალკაცი (15ქ).

**ენერჯი:** მაჭავარიანი (5ქ), გ. ბერუაშვილი, მებურიშვილი, აბაიშვილი (9ქ), გუგავა (4ქ), ხმელიძე (15ქ, 14მ), ლამუ (2ქ), ზედელაშვილი (7ქ), თვარაძე (2ქ), არაბული (7ქ), ობგაიძე.

**მსაჯები:** გ. მიქელაძე, ი. ბერიშვილი

**კომისარი:** რ. ხომერიკი



## ეს ის ენერჯი აღარ არის

სტუ-"ენერჯის" მატჩის შემხედვარე გულშემატკივარს გული ნამდვილად დასწყდებოდა: ეს ის „ენერჯი" აღარ არის, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მოწინააღმდეგეებს შიშის ზარს რომ სცემდა.

ასევე ახალგაზრდულმა სტუ-მ რუსთაველებს არც მეტი, არც ნაკლები 32 ქულის სხვაობით მოუგო - 83:51.

სტუმართაგან ორნიშნა მონაგარი მხოლოდ **ლევან ხმელიძეს** ჰქონდა: 15 ქულა, 14 მოხსნა.

მატჩის ბომბარდირი სუპერლიგის სნაიპერი **ბექა ჩიკვილაძე** გახდა, რომელმაც 20 ქულა ჩააგდო. 18 ქულას მოუყარა თავი **აკაკი ლომოურმა. ვასილ ბერუაშვილმა** ორმაგი დუბლი შეასრულა (10 ქულა, 11 მოხსნა), ხოლო გამოცდილმა **გულივერ ახალკაცმა** სტუ-ს 15 ქულა და 7 მოხსნა შეაშველა.

**12 თებერვალი**

**სპორტის სასახლე**

**სამედიცინო-აგრარული 78:81 (ძ.დ. 70:70)**

**22:18, 13:9, 18:23, 17:20, 8:11**

**სამედიცინო:** გულისაბედაშვილი (6ქ), ი. ლეჟავა (16ქ), თავართქილაძე (2ქ), ბექაური, დვალიშვილი (14ქ, 18მ), თენიეშვილი (5ქ), კეიდია (2ქ), ჭოჭუა (10ქ), ფაიქრიძე, ახალაია.

**აგრარული:** არწივიძე (21ქ), ნანიტაშვილი (2ქ), სიგუა (6ქ), ჩაჩანიძე (10ქ), ხანიაშვილი (28ქ), ჯავახიშვილი (8ქ), მუმლაძე (6ქ), ბააკაშვილი.

**მსაჯები:** მ. ანდღულაძე, დ. ბერიშვილი

**კომისარი:** გ. სანაძე

## სტუდენტური ოვერტაიმი

საინტერესოდ დასრულდა მე-13 ტური - სტუდენტურ დერბიში ოვერტაიმი დაფიქსირდა. „სამედიცინოს" ამერიკელი **ჯეფ როჯერსი** აკლდა, რომელსაც საზარდული აქვს დაჭიმული. მედიკოსები მის გარეშეც იგებდნენ - მესამე მეოთხედის შუაში მათმა უპირატესობამ 14 ქულა შეადგინა (59:45). მიუხედავად ამისა, მთავარი მწვრთნელის გარეშე მოთამაშე აგრარელებმა ბოლომდე იბრძოლეს. **გია კაზანჯიანი** 16-წლამდელთა ნაკრებშია დაკავებული, გუნდს კი მისი ასისტენტი **თემურ აბულაძე** უძღვებოდა, რომელიც ისე აგულიანებდა აგრარებს, რომ მათ ბოლო მეოთხედში ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს. **გიორგი ხანიაშვილმა** და **დავით არწივიძემ** შედეგიანად ითამაშეს და ძირითადი დროც ფრედ, 70:70 დასრულდა.

დამატებითი დროის დამთავრებამდე 32 წამით ადრე მედიკოსები ქულით იგებდნენ, მაგრამ იმავე ხანიაშვილისა და **კახა მუმლაძის** სიზუსტის წყალობით აგრარები 3 ქულით დაწინაურდნენ და საბოლოოდ იმარჯვეს კიდეც

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს | 12 | 9 | 3 | 1071/897 | 21 |
| 2. თსუ | 12 | 9 | 3 | 1041/951 | 21 |
| 3. არმია | 10 | 9 | 1 | 916/712 | 19 |
| 4. ქუთაისი | 11 | 8 | 3 | 925/803 | 19 |
| 5. სოხუმი | 12 | 7 | 5 | 948/925 | 19 |
| 6. ენერჯი | 12 | 7 | 5 | 856/858 | 19 |
| 7. სტუ | 12 | 4 | 8 | 997/1031 | 16 |
| 8. ბათუმი | 11 | 4 | 7 | 864/903 | 15 |
| 9. სამედიცინო | 12 | 3 | 9 | 873/914 | 15 |
| 10. აგრარული | 12 | 3 | 9 | 838/1005 | 15 |
| 11. დინამო | 12 | 1 | 11 | 815/1145 | 13 |

**საინტერესო მოსაზრება**

**აინარს ბაგაცკისი**

- ძალიან სპეციფიკური ჩემპიონატი გაქვთ. ყველა გუნდი მაღალ ტემპში თამაშობს, შესაბამისად შეტევას უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე დაცვას. აქედან გამომდინარე, ნებისმიერ გუნდს შეუძლია არა მხოლოდ თანაბარი ძალის, არამედ ფავორიტის დამარცხება.

ამ სტილით საქართველოს ჩემპიონატი ლიტვის პირველობას მაგონებს: გუნდები მცირე შემადგენლობით თამაშობენ და ყველა ისვრის. ამ მხრივ, ერთ-ერთი გამორჩეულია თსუ, რომლის კალათბურთელებმა ზედმიწევნით იციან, როდის რა უნდა გააკეთონ, პასს არავინ აგვიანებს. ასეთი გუნდების წინააღმდეგ სათამაშოდ აუცილებელია კარგი სათამაშო დისციპლინა, დაცვაში სტაბილურობა და შეცდომების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა. თამაშს ის იგებს, ვისაც ფარქვეშ აქვს უპირატესობა და ნაკლებ შეცდომას უშვებს. ვეცდებით, „სოხუმში" ყველაფერი მოვაწესრიგოთ, ვნახოთ, რამდენად მეყოფა დრო.

საქართველოს ჩემპიონატი საშუალო ევროპული დონისაა. ლატვიაშიც ორი კარგი გუნდია - „ვენტსპილსი" და „ვეფ რიგა". მათთან „არმიასა" და შსს-ს მეტ-ნაკლებად თანაბრად შეუძლიათ თამაში...

● ლეგიონერები

# შერმადინის პირველი ევროდუბლი

## ბორისამ შამპანური გახსნა

**სლოვენიის თასი**

**ნახევარფინალი**

**ოლიმპია-ზლატოროგი 85:73**

**გიორგი შერმადინი (ოლიმპია):** 20 წუთი, 17 ქულა, 10 მოხსნა, 1 დაფარება.

**ვლადიმერ ბორისა (ოლიმპია):** 13 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა.

**ფინალი**

**ოლიმპია-ჰელიოსი 92:55**

**გიორგი შერმადინი:** 22 წუთი, 12 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება.

**ვლადიმერ ბორისა:** 15 წუთი, 4 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი.

**იტალიის თასი**

**ნახევარფინალი**

**კანტუ-აველინო 82:65**

**მანუჩარ მარკოიშვილი (კანტუ):** 17 წუთი, 2 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი.

**მერაბ ბოქოლიშვილი (აველინო):** განაცხადში არ იყო.

**ფინალი**

**კანტუ-მონტეპასკი 72:79**

**მანუჩარ მარკოიშვილი:** 15 წუთი, 4 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი.

**ბალტიის ლიგა**

**ვენტსპილსი-როკი 81:77**

**გიორგი ცინცაძე (როკი):** 33 წუთი, 14 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა.

ეს უქმეები განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო **გიორგი შერმადინისთვის**, რომელმაც **ვლადიმერ ბორისასთან** ერთად სლოვენიის თასი მოიპოვა. გიორგიმ ფინალში, „ჰელიოსის" კალათში 12 ქულა ჩააგდო და არც სხვა კომპონენტებში იყო პასიური (იხილეთ სტატისტიკა).

ნახევარფინალში კი შერმადინმა ევროპაში პირველი ოფიციალური დაბლდაბლი მიითვალა: 17 ქულა, 10 მოხსნა. ასეთი ეფექტური მონაგარისთვის მას 20 წუთიც ეყო.

ნახევარფინალსა და ფინალში ითამაშა ვლადიმერ ბორისამ, რომელიც ტრავმის შემდეგ ფორმას ნელ-ნელა იბრუნებს.

ასევე ტრავმის შემდეგ კონდიციების აღდგენის პროცესშია **მანუჩარ მარკოიშვილი**, რომელიც სათანადო ფორმაში ჯერ არ არის. არადა, როგორ სჭირდებოდა მისი სამქულიანები გუშინ „კანტუს", რომელიც „მონტეპასკის" იტალიის თასის ფინალში თანაბრად ებრძოლა და გამარჯვებასთანაც ახლოს იყო...

ბალტიის ლიგაზე „ვენტსპილსთან" მატჩში „როკის" ბომბარდირი გახდა **გიორგი ცინცაძე** - 14 ქულა.

ამ შეხვედრების გამოხმაურებებს ხვალინდელ ნომერში უფრო ვრცლად შემოგთავაზებთ.



● ქართველი NBA-ში

# ზაზას ერთიც რომ მოეხსნა...

## ჯექსონს ერთი რომ არ ჩაეგდო...

„ატლანტა ჰოქსმა" ბოლო წამებზე მორიგი მატჩი წააგო. ჯორჯიელები მეორე პერიოდში 20 ქულის სხვაობით უგებდნენ „შარლოტ ბობქეთსს", მაგრამ ასეთი ფორის შენარჩუნება ვერ მოახერხეს.

სირენამდე 54 წამით ადრე ტრავმამოშუშებულმა **ელ ჰორფორდმა** ორქულიანით ანგარიში გაათანაბრა. 8 წამით ადრე „ატლანტას" კაპიტანმა **ჯო ჯონსონმა** შორეული ორქულიანი ააცილა და ბოლო იერიშის უფლება „შარლოტს" დარჩა. მატჩის დასრულების მაუწყებელ სირენასთან ერთად **სტივენ ჯექსონმა** რთული პოზიციიდან ისროლა, ჩააგდო და „შარლოტს" 88:86 მოაგებინა.

**ზაზა ფაჩულიამ** კარგად ითამაშა, ერთით მეტი მოხსნა რომ მოეგროვებინა, სეზონის მეორე ორმაგ დუბლს გაიფორმებდა. მან 10 ქულას 9 მოხსნა მიამატა.

**ატლანტა-შარლოტი 86:88**

**ზაზა ფაჩულია:** 21:27 წუთი, 10 ქულა (8-დან 3 ორქულიანი, 4-დან 4 საჯარიმო), 9 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი.

**ქრონოლოგია**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 03:38 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 03:13 | ორქულიანი: 2ძ (21:12) |
| 02:46 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:58 | პასი: 1 (სმიტი 2ძ, 23:19) |
| 01:18 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:16 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 01:15 | ორქულიანი: 4ძ (25:21) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 10:31 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 09:58 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 09:49 | ორქულიანი: 6ძ (35:27) |
| 09:24 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 09:09 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 08:50 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 07:18 | სმიტმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 05:52 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 04:17 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 11:12 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:53 | მოხსნა: შეტ-2, დაც-6 |
| 08:54 | საჯარიმოები: 2/2 (8ძ, 76:75) |
| 08:43 | ჩაჭრა: 1 (ნახერას ჩაუჭრა) |
| 08:28 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:59 | საჯარიმოები: 2/2 (10ძ, 78:75) |
| 07:43 | ფოლი: 1 |
| 06:13 | მოხსნა: შეტ-3, დაც-6 |
| 06:11 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 04:45 | კროუფორდმა ზაზა შეცვალა |

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები**

**თარაზულად:** 1. ფეხბურთი; 5. კოკა; 9. ნურმი; 10. როტერდამი; 11. ერიკ; 12. კაპაბლანკა; 14. არონია; 15. ნიკეა; 18. "ალავესი"; 20. მორფი; 22. აზერბაიჯანი; 24. ლაუდა; 26. იაგორაშვილი; 28. კამორანეზი; 29. პეპე; 30. "კილიკია"; 31. ლაილა.
**შვეულად:** 1. ფონტენი; 2. ხურცილავა; 3. ულიე; 4. თურმანიძე; 5. კარელინი; 6. კრამნიკი; 7. ოტმარ; 8. გიმარაეში; 13. კოპა; 16. ზიდანი; 17. პლანიჩკა; 19. ლარიონოვი; 20. მილი; 21. რაუტლეჯი; 23. "ალაზანი"; 25. "აცტეკა"; 27. ვიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ერთა თასი

# იბერიული ბალადა

| საქართველო-ესპანეთი | 60:0 |
|---|---|

საქართველო (15-9) ხამაშურიძე (ბ.ურჯუკაშვილი 70), გუგავა, კაჭარავა, ზიბზიბაძე, მაჩხანელი, კვირიკაშვილი (მალალურაძე 67), აბუსერიძე (სამხარაძე 58). (1-8) კაკოვინი (ფეიქრიშვილი 72), ნატრიაშვილი (ბრეგვაძე 53), ფეიქრიშვილი (შეყლაშვილი 58), დათუნაშვილი, მაისურაძე (თავართქილაძე 75), სუთიაშვილი, ლაბაძე, ჩხაიძე (მაისურაძე 65).

ლლ: გუგავა, კვირიკაშვილი, კაჭარავა, ხამაშურიძე, ნატრიაშვილი, ზიბზიბაძე (2), ლაბაძე, ბ.ურჯუკაშვილი. ნგ: კვირიკაშვილი (3), მალალურაძე (3). ს: კვირკაშვილი

ესპანეთი (15-9) ამორო (ობანელი 20, ფერნანდესი 60), გუტიერესი, რეკუერდა, ერედია, ბელსუნსე, ხორახურია (ალვარესი 41), აიესტარანი. (1-8) მორენო (მარტინესი 70), აუსკი (ლასა 72), გურგენაძე, ობანელი, კანო, როკა, კუკი, კოვაშევიჩი.

მსაჯი: გრეთ გარნერი (ინგლისი)

*„ორი კვირის წინ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში ვთქვი, რომ რუსეთის ნაკრები ერთა თასის ფავორიტია და კარგი მომავალი აქვს. უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები. ასეთი გუნდი საქართველოს ეროვნული ნაკრებია“,* - თქვა ნამატჩევს ესპანეთის ეროვნული გუნდის ახალმა მწვრთნელმა **რეჯის სონმა.**

საქართველოს ნაკრებმა ერთა თასის გათამაშების მეორე ტურში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე ესპანელ „ლომებს“ (?!) უმასპინძლა და შესანიშნავ სტილში, მშრალი ანგარიშით დაამარცხა - 60:0.

„ბორჯღალოსნებს“ არაერთხელ გაუხარებიათ ერთგული ქართველი ქომაგი, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა, სიხარულთან ერთად, მაყურებელი სტადიონს უაღრესად კმაყოფილიც ტოვებდა. ცხადია, ჩვენი გუნდის თამაშში ხარვეზები იყო (უამისოდ მოთამაშე გუნდი მსოფლიოში არ არსებობს), მაგრამ **რიჩი დიქსონის** სამწყსომ, საერთო ჯამში, დიდი რაგბის ელემენტებით უხვად გაჯერებული თამაში აჩვენა.

საკმაოდ სახეშეცვლილი, როგორც ამბობდნენ, ესპანელთა გაძლიერებული გუნდის ასეთი ანგარიშით განადგურებას, ალბათ, არავინ ელოდა. თუმცა, მატჩის წინ პრესკონფერენციაზე „ბორჯღალოსანთა“ კაპიტანმა **ირაკლი აბუსერიძემ** პირდაპირ თქვა:

*„ყველაფერს ვილონებთ, რომ ეს თამაში მოვიგოთ. პირველი წუთიდან დაწყებული, მთელი ოთხმოცი წუთის განმავლობაში, თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ“.*

ასეც მოხდა, საქართველოს ნაკრებმა ბოლო წუთამდე მართლაც თავდაუზოგავად იბრძოლა. იმისა მიუხედავად, რომ თამაში უკვე პირველ ტაიმში იყო მოგებული (27:0), მეორე ნახევარში კიდევ უფრო მაღალ ტემპში, უკომპრომისოდ ითამაშა. ყოველივე ამის დასტურად თუნდაც მატჩის ბოლო წუთზე ახალგაზრდა ფულბეკის **ბექა ურჯუკაშვილის** მიერ გატანილი ლელო გამოდგება, რომელიც ჩვენი გუნდის აქტივში იმ დღეს მეცხრე იყო. იქამდე კი, როგორც უკვე ვთქვით, დიდი რაგბის მოთამაშე საქართველოს ნაკრებმა რვა ერთმანეთზე უკეთესი ლელო გაიტანა. ანგარიში „ბორჯღალოსნებმა“ მე-7 წუთზე გახსნეს. ჩვენმა მორაგბეებმა მეტოქეს, მისსავე ნახევარზე, მარცხენა ფრთაზე რაკში ბურთი წაართვეს. **აბუსერიძემ** მარჯვნივ გრძელ ფრთაზე გამოათამაშა. მგეზავმა **მერაბ კვირიკაშვილმა** იქვე შეუტია, თუმცა შებოჭეს. წარმოქმნილი რაკიდან ბურთი შერკინების მარჯვენა ბურჯმა **ანტონ ფეიქრიშვილმა** აიტაცა და ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწია. ისევ რაკი, აბუსერიძემ შეტევა ისევ მარჯვნივ განაგრძო. ამჯერად მეტოქის ხაზის გაჭრა შერკინების მარცხენა ბურჯმა **ვასილ კაკოვინმა** სცადა და ხუთიოდ მეტრით წაიწია. აბუსერიძემ ისევ მარჯვნივ გაუტანა ხაზზე ბურთი კვირიკაშვილს, რომელმაც კიდესკენ, ერთის გამოტოვებით გარემარბი **ლექსო გუგავა** მოძებნა. მას წინააღმდეგობა აღარ შეხვედრია. გარდასახვა კვირიკაშვილმა ვერ გაიტანა - 5:0.

აქედან მოყოლებული, ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა თითქმის 15 წუთის განმავლობაში მეტოქის ნახევარზე გადასვლა ვერაფრით შეძლო. დროის ამ მონაკვეთში ესპანელებს ანგარიშის შემცირების შანსი ერთხელ მიეცათ და ვერ გამოიყენეს. „ლომების“ ბასკმა მგეზავმა **ანდონი ხოროხურიამ** საჯარიმო ვერ გაიტანა.

25-ე წუთზე საქართველოს ნაკრებმა დიდოსტატური ლელო დადო: „ბორჯღალოსნებმა“ მარჯვენა ფრთაზე დერეფანი ესპანელთა ჩათვლის მოედნიდან 30 მეტრში მოიგეს. აბუსერიძემ მარცხნივ, გრძელ ფრთაზე კვირიკაშვილს გადააწოდა, ამან შეტევაში შუამარბი **დავით კაჭარავა** ჩართო, რომელმაც ესპანელთა დაცვის ხაზი გაჭრა და ოცდაორმეტრიან ზონაში შეიჭრა. მერე შეტევა მესამეხაზელმა **გია ლაბაძემ** განაგრძო, ოდნავ წინ წაიწია და უქვე კვირიკაშვილს გადაწოდა. მეკომ ბურთი ფეხით გადაიკიდა, მიჰყვა და ლელოში ყველას დაასწრო. გარდასახვა თვითონვე გაიტანა - 12:0.

ხუთ წუთში კვირიკაშვილმა საჯარიმოთი გაზარდა ანგარიში - 15:0. პირველი ტაიმის ბოლო ხუთ წუთში ჩვენმა მორაგბეებმა ორი ლელო შეიმატეს. 36-ე წუთზე მეორეზე არანაკლებ ლამაზი მესამე ლელო გამოვიდა. მარჯვენა ფრთაზე გუგავამ აუტიდან ბურთი სწრაფად შემოიტანა. შუამარბმა **თედო ზიბზიბაძემ** ოცდაორმეტრიან ზონაში შეაღწია, მერე მოკლე დარტყმა იქვე შერკინების კვაჭმა **ირაკლი ნატრიაშვილმა** განახორციელა. წარმოქმნილი რაკიდან გამოტანილი ბურთი აბუსერიძემ კაჭარავას გაატანა, რომელმაც ოცი მეტრი ირბინა, შესანიშნავი მანევრით სამ მეტოქეს ხელიდან დაუსხლტა და ლელო კარის ძელთან ახლოს დადო. კვირიკაშვილმა გარდასახა - 22:0.

ტაიმის დასრულებას აღარაფერი აკლდა, საქართველოს ნაკრებმა საკმაოდ ხანგრძლივი, მრავალფაზიანი შეტევა წამოიწყო. ესპანელებმა თამაშის წესი დაარღვიეს. ბურთის აუტში გადატანას აზრი არ ჰქონდა, რადგან დრო ამოწურული იყო. ამიტომ „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ათ მეტრში შერკინება მოითხოვეს. ჩვენმა მორკინალებმა „ლომებს“ ოდნავ უკან დაახევინეს, მერე აბუსერიძემ შერკინებიდან გამოსული ბურთი მარჯვნივ, მოკლე ფრთაზე ფულბეკ **ბესიკ ხამაშურიძეს** გადააწოდა, რომელსაც სამი ესპანელი ჩამოეკიდა, მაგრამ „ანტილოპას“ შეჩერება ვერაფრით შეძლეს. კვირიკაშვილმა ვერ გარდასახა - 27:0. ასე დასრულდა პირველი ნახევარი.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა მხოლოდ 13 წუთის განმავლობაში გაგვიწიეს წინააღმდეგობა. 53-ე წუთზე ესპანელებმა საკუთარ 22-მეტრიან ზონაში შერკინებიდან ბურთის გამოტანა შეძლეს, მაგრამ პირინეელთა მესამეხაზელი კვირიკაშვილმა შებოჭა. რაკში თამაშისას კი ქართველმა მორაგბეებმა კიდევ ერთხელ იყოჩაღეს, ბურთი მოიპოვეს და კონტრიერიში წამოიწყეს, ჯერ ლაბაძემ წაიწია წინ, მერე კიდევ ერთმა მესამეხაზელმა **შალვა სუთიაშვილმა** თითქმის ლელომდე ირბინა და იქვე მიმყოლ შერკინების კვაჭ ირაკლი ნატრიაშვილს გადააწოდა. გარდასახვა კვირიკაშვილმა გაიტანა - 34:0.

მომდევნო ლელოს ორგანიზებას ჩვენი მორაგბეები 11 წუთი მოუნდნენ. „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში საკუთარი დერეფანი ორჯერ ზედიზედ წააგეს. ესპანელებმა ბურთი ფეხით 22-მეტრიანი ზონიდან გაიტანეს, მაგრამ ის გარემარბ **ირაკლი მაჩხანელის** ნადავლი გახდა, რომელიც მაღალი სისწრაფით ისევ ოცდაორმეტრიან ზონაში შეიჭრა, მარჯვნივ კვირიკაშვილს გადააწოდა, ამან შეტევაში ზიბზიბაძე ჩართო, მისი შეჩერება კი სტუმრებმა ველარ შეძლეს. კვირიკაშვილმა ვერ გარდასახა - 39:0.

ზიბზიბაძემ თავი კიდევ ერთხელ გამოიჩინა: 72-ე წუთზე დერეფნიდან გათამაშებული ბურთი შეცვლაზე შესულმა მგეზავმა **ლაშა მალალურაძემ** შეტევაში თედო ჩართო, რომელიც ცრუ მოძრაობით რამდენიმე ესპანელს დაუსხლტა და ლელო ძელებს შორის გაიტანა. მალალურაძემ გარდასახა. იქამდე კი, ოთხი წუთით ადრე საკმაოდ ხანგრძლივი, მრავალფაზიანი შეტევა გია ლაბაძემ დაასრულა. მალალურძემ ისიც გარდასახა - 53:0.

მატჩის ბოლო აკორდი კი უკანასკნელ წამებზე შეცვლაზე შესული ახალგაზრდა ფულბეკის **ბექა ურჯუკაშვილის** ლელო იყო, რომელმაც მითი ესპანელთა უხერხული მეტოქეობის თაობაზე საბოლოოდ დაასამარა - 60:0.


თედო ზიბზიბაძის სალელოვე შეტევა

ალექსანდრე კოტრიკაშვილის ფოტოები


წამიც და დავით კაჭარავა მესამე ლელოს გაიტანს

### მატჩის შემდეგ

**რეჯის სონი,** ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი:

*„საქართველოს ნაკრებმა შესანიშნავად ითამაშა, მორაგბეებმა ბრწყინვალე ტექნიკური არსენალი გამოავლინეს. გუნდში იგრძნობოდა ერთსულოვნება და მორკინალები ძალიან მაგრები არიან. მოხარული ვიქნები, თუ მომავალში ჩვენც შევძლებთ ასე თამაშს.*

**რიჩი დიქსონი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი:**

*„კარგია, რომ დიდი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ ხარვეზები თამაშში მაინც საკმაოდ გვქონდა. ერთი-ორი ისეთი უხეში შეცდომა დავუშვით, რომ უფრო ძლიერი გუნდი არაფრით გვაპატიებდა.*

*კარგი იყო, რომ გუნდი ნახევარი თვე ერთად იყო, ივარჯიშა. ორი მატჩი შინ ვითამაშეთ. ახლა მომდევნო შეხვედრის გამართვა სტუმრად მოგვიწევს. ამიტომ მეტი მონდომებით უნდა მოვემზადოთ და უფრო ყურადღებით გავისარჯოთ.*

*ძალიან კმაყოფილი ვარ ახალი მორაგბეების თამაშით. ვასილ კაკოვინი, ანტონ ფეიქრიშვილი, ვახტანგ მაისურაძე და ბექა ურჯუკაშვილი ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებს სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ.*

**მაიკ ბრედლი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:**

*„ესპანეთის ნაკრებთან შეცდომები დავუშვით, რომლებიც მომავალი თამაშებისთვის აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ.*

*პოზიტიური იყო ის, რომ რამდენიმე ლელო მართლაც შთამბეჭდავი გავიტანეთ. ძალიან მომეწონა ქართველი გულშემატკივრების ქომაგობა. იმედი მაქვს, მომდევნო მატჩზე რუმინეთის ნაკრებთან სტადიონი გაივსება.“*

| რუსეთი-პორტუგალია | 19:21 |
|---|---|

რუსეთი: 15. იგორ კლუჩნიკოვი, 14. ვასილი არტემევი, 13. მიხაილ ბაბაევი, 12. იგორ გალინოვსკი, 11. ვლადიმირ ოსტროუშკო, 10. იური კუშნარიოვი, 9. ალექსანდრ შაკიროვი. 1. კარლო მალლაკელიძე, 2. ვალერი ცნობილაძე, 3. ევგენი პრონენკო, 4. ალექსანდრ ვოიტოვი, 5. ანდრეი ოსტრიკოვი, 6. ვიქტორ გრესევი, 7. ევგენი მატვეევი, 8. არტიომ ფატახოვი.

16. ალექსანდრ ხროკინი, 17. ალექსეი ტრავკინი, 18. ანდრეი გარბუზოვი, 19. კირილ კუშნარიოვი, 20. ალექსანდრ იანუშკინი, 21. კონსტანტინ რაჩკოვი, 22. ანდრეი კუზინი.

2ლ: ოსტროუშკო (2), 3ს: ი.კუშნარიოვი.

პორტუგალია: 15. ანტონიო აგოლარი, 14. გონსალო ფორო, 13. ფედერიკო ოლივიერა, 12. პედრო სილვა, 11. ჟოზე ლიმა, 10. ჯოზეფ გარდნერი, 9. პედრო ლეალი. 1. კრისტიან სპაშუკი, 2. ჟოაო კორეია, 3. ჟუან მურე, 4. ედუარდო აკოსტა, 5. გონსალო უვა, 6. ლორან ბალანგე, 7. ჟულიენ ბარდი, 8. ჟუან სევერინო.

16. ლიონელ კამპარნი, 17. ენტონი ალვეში, 18. ტიგო გიარუ, 19. ლუის სოუზა, 20. პედრო კაბრალი, 21. ფრანსისკო მირა, 22. ბერნარდო სილვეირა.

2ლ,3ს, გ,: გარდნერი

უკრაინა-რუმინეთი (გადაიდო)

### ერთა თასი

**III ტური, 26 თებერვალი**

პორტუგალია-საქართველო, რუმინეთი-რუსეთი, ესპანეთი-უკრაინა

**IV ტური, 12 მარტი**

საქართველო-რუმინეთი, ესპანეთი-პორტუგალია, უკრაინა-რუსეთი

**V ტური, 19 მარტი**

რუსეთი-საქართველო, რუმინეთი-ესპანეთი, პორტუგალია-უკრაინა.

### სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +119 | 10 |
| 2. პორტუგალია | 2 | 2 | 0 | 0 | +9 | 8 |
| 3. რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +2 | 5 |
| 4. ესპანეთი | 2 | 0 | 0 | 2 | -64 | 1 |
| 5. რუმინეთი | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 1 |
| 6. უკრაინა | 1 | 0 | 0 | 1 | -59 | 0 |

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

**კალათბურთი.**


კობი ბრაიანტი

# კობის წამოსცდა: ევროპაში ვითამაშებ!

### კერონ ბატლერი პლეი ოფში თამაშს აპირებს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** პირად საუბრებში კატეგორიული ტონით გამოეხმაურა ლიგაში მოსალოდნელ ლოკაუტს. კერძოდ, NBA-ის ერთ-ერთმა მთავარმა ვარსკვლავმა პარტნიორებთან მომავალი კოლექტიური ხელშეკრულების რამდენიმე დეტალის განხილვისას განაცხადა, რომ სეზონის გაუქმების შემთხვევაში გაისად ევროპაში გააგრძელებს თამაშს.

ბრაიანტის იდეის მოსმენის შემდეგ „ნიუ იორკ ნიქსის" იტალიელმა ლეგიონერმა **დანილო გალინარიმ** იხუმრა, რომ კობის მიბაძავს და მასთან ერთად გაემგზავრება იტალიაში. შეგახსენებთ, რომ კობიმ ბავშვობის ნაწილი აპენინებზე გაატარა, სადაც მამამისი **ჯო ბრაიანტი** პროფესიულ დონეზე თამაშობდა.

„ლეიკერსის" მოთამაშემ, რომელმაც გუნდის ლიდერთან თავისი საუბრის შესახებ ჟურნალისტებს მოუყვა, ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

■ ■ ■

დამაიმედებელი ინფორმაცია გავრცელდა „დალას მავერიქსის" ბანაკიდან. ამ გუნდის მსუბუქი ფორვარდის **კერონ ბატლერის** გამოჯანმრთელების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და კალათბურთელი პლეი ოფის მატჩებისთვის აპირებს მოედანზე დაბრუნებას.

*„საქმე კარგადაა. აღდგენითი პროცესი სწრაფად მიდის,* - აღნიშნა ბატლერმა. - *ჩემი მიზანი - პლეი ოფია. ვფიქრობ, შევძლებ იმ დროისთვის დაბრუნებას. სხეული ნორმალურად რეაგირებს მკურნალობაზე და ჯერჯერობით არანაირი რეციდივი არ ყოფილა".*

ბატლერს იმედი აქვს, რომ რამდენიმე დღეში დაიწყებს სირბილსა და სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიშს, სრულფასოვან საკალათბურთო მეცადინეობას კი სამ-ოთხ კვირაში განაახლებს.

შეგახსენებთ, რომ ექიმების წინა შეფასებით, „დალასის" ერთ-ერთ ლიდერს, წესით, ამ სეზონში აღარ უნდა ეთამაშა.

**ჩოგბურთი**

# დოლგოპოლოვიც თამაშებს აწყობს?

საუკეთესო უკრაინელი ჩოგბურთელი, ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალისტი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** ჩაწყობილი თამაშების ორგანიზებაშია ეჭვმიტანილი. როგორც სააგენტო AFP წერს, დოლგოპოლოვმა წერილი მიიღო Tennis Integrity Unit-სგან. მართალია, ტექსტის შესახებ არაფერია ცნობილი, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ჩოგბურთელმა რამდენიმე მატჩი შეგნებულად დათმო.

ეჭვს იწვევს მცირე საპრიზო ფონდის ტურნირების საწყის ეტაპებზე წაგებული მატჩები, რომლებზეც უკრაინელს შეეძლო სოლიდური თანხის „გამომუშავება".

*„არ გამკვირვებია ამ წერილის მიღება, რადგან ვიცოდი, რომ რუს ჩოგბურთელებსაც გაუგზავნეს მსგავსი შეტყობინებები, თუმცა ამის იქით საქმე არ წასულა",* - ამბობს დოლგოპოლოვი.

სხვათა შორის, მსგავსი წერილის ადრესატი გახდა აგრეთვე ცნობილი სერბი ჩოგბურთელი **იანკო ტიპსარევიჩი**, ასე რომ, ამ ეტაპზე ისიც ეჭვმიტანილია რამდენიმე მატჩის შედეგის გაყალბებაში.

■ ■ ■

რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** უარი თქვა დუბაისა და დოჰას ტურნირებში გამოსვლაზე. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა პაუზის აღება გრიპის ვირუსის გამო გადაწყვიტა. შეგახსენებთ, რომ მარიას გასულ კვირას პარიზის ტურნირში გამოსვლა ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ გაცივების გამო არ გავიდა კორტზე. შარაპოვა მოსკოვში საფრანგეთთან ფედერაციის თასის მატჩისას გახდა ავად.

შარაპოვა ტურში დაბრუნებას ინდიან უელსის ტურნირზე აპირებს, მკურნალობის კურსს კი ლოს-ანჯელესში გაივლის.


ალექსანდრ დოლგოპოლოვი

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

# სენსაცია: კლივლენდმა მოიგო!

გასულ უქმეებზე რეგულარულ ჩემპიონატში რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა და მათ მიმოხილვას თანმიმდევრობით შევუდგებით. რა თქმა უნდა, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ „კლივლენდ კავალიერზის" მოგება. როგორც იცით, **ბაირონ სკოტის** გუნდს ზედიზედ 26 მარცხი და ბოლო 37 მატჩში მხოლოდ ერთი გამარჯვება ჰქონდა - 18 დეკემბერს „ნიუ იორკის" წინააღმდეგ. და აი, „კავალერებმა" „ლოს ანჯელეს კლიპერსთან" უაღრესად დაძაბულ მატჩში შეწყვიტეს ჩრდილოამერიკული პროფესიული სპორტის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო სერია.

რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე უარესი გუნდის ტრიუმფი გამთამაშებლის **მო უილიამსის** გამოჯანმრთელებას დაემთხვა. მცველმა თავის თავზე აიღო თავისიანების თამაშის მართვა და 17 ქულას 14 შედეგიანი პასი დაუმატა. სწორედ უილიამსმა გაათანაბრა საშუალო მანძილიდან ტყორცნით ანგარიში საფინალო სირენამდე 6 წამით ადრე. **ბაირონ დევისმა** სცადა პასუხის გაცემა, მაგრამ მას ჰიქსონმა დაუფარა. ოვერტაიმში მთავარი გმირი **ანტუან ჯეიმისონი** გახდა. მან ულამაზესი და ურთულესი სამქულიანით „კლივლენდს" ოთხქულიანი უპირატესობა მოუტანა - 123:119. დარჩენილ 22 წამში დევისმა გაძევება დასტყუა მსაჯს, უილიამსმა და **გიბსონმა** კი ჯარიმებით ოფიციალურად გააფორმეს გამარჯვება.

პირველი მატჩი ჩაატარა „იუტა ჯაზმა" ლეგენდარული მწვრთნელის **ჯერი სლოუნის** გარეშე. **ტაირონ კორბინის** დებიუტი „ფინიქსთან" საშინაო წაგებით აღინიშნა. „ჯაზმენებმა" მეორე ტაიმში გაანიავეს 12-ქულიანი უპირატესობა. „სანზმა" **სტივ ნეშის** მეთაურობით (კანადელმა ორმაგი დუბლი შეასრულა - 18 ქულა, 10 გადაცემა) ბოლო ორი მეოთხედი 51:27 მოიგო, მთლიანად მატჩი - 95:83.

აშკარა ფავორიტის რანგში ჩავიდა „სან ანტონიო" ფილადელფიაში სათამაშოდ. **გრეგ პოპოვიჩის** გუნდი წელს უმაღლესი დონის კალათბურთს აჩვენებს და შემთხვევით არ ლიდერობს ჩემპიონატს. მაგრამ ამჯერად „სპურსის" კალათბურთელებს თამაში არ წაუვიდათ და „სიქსერზის" წინააღმდეგ თავი შეირცხვინეს - 71:77. სტუმრებს აბსოლუტურად არაფერი გამოსდიოდათ შეტევაში. მათ მეორე ტაიმში მხოლოდ 25 ქულა დააგროვეს, მთლიანად მატჩში - 71, რაც სეზონში საკლუბო ანტირეკორდი გახლავთ. „სან ანტონიომ" თამაშიდან 33.3 პროცენტის სიზუსტით ესროლა და სამქულიანების 17.6 პროცენტი გამოიყენა. „სპურსის" სასტარტო ხუთეულიდან მხოლოდ **ტიმ დანკანმა** გადალახა ათქულიანი ზღვარი.

ლიდერმა მომდევნო დღეს შეძლო შელახული პრესტიჟის აღდგენა. „სან ანტონიომ" „ვაშინგტონს" 118 ქულა ჩაუგდო. ამჯერად სტუმრების თამაშიდან ზუსტი ტყორცნების პროცენტი 58.4-ს უდრიდა, სამქულიანების - 52.0 პროცენტს.

ისევ გვაკვირვებს „ინდიანას" მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი **ფრენკ ვოგელი**. ახალბედა სპეციალისტი ენდობა ახალგაზრდა კალათბურთელებს და ისინიც ამართლებენ ამ ნდობას. „ინდიანა" ბოლო მეოთხედის წინ შვიდი ქულით აგებდა „მინესოტას" წინააღმდეგ. სწორედ ამ დროს თავის გამოჩენის შანსი მიიღო **დანტეი ჯონსმა**. მცველმა, რომელიც დაცვაში კარგი თამაშით არის გამორჩეული, ბოლო 12 წუთში 19 ქულა დააგროვა, რისი წყალობითად „ინდიანას" შვიდქულიანი ჩამორჩენა 11-ქულიან უპირატესობად გადაიქცა. ჯონსმა შვიდიდან ექვსი ბურთი ჩააგდო, მათ შორის - ორი სამქულიანი, არადა აქამდე მთელი სეზონის განმავლობაში სულ რაღაც ორი შორეული ტყორცნა ჰქონდა გამოყენებული. „პეისერსმა" ბოლო შვიდ მატჩში მეექვსედ გაიმარჯვა.

**11 თებერვალი**

**ინდიანა-მინესოტა 116:105**

31:31, 25:27, 27:32, 33:15

**ი:** გრეინჯერი (19), ჯონსი (19), დანლივი (15), ჰენსბრო (14), მაკრობერტსი (12), ჯორჯი (11).

**მ:** ლავი (22+15 მოხსნა), პეკოვიჩი (15), ელინგტონი (14), ჰეივორდი (14), ბრიუერი (12).

**ორლანდო-ნიუ ორლეანი 93:99**

24:28, 28:33, 28:19, 13:19

**ო:** ჰოვარდი (20+17 მოხსნა), თურქოგლუ (16+6 პასი), რედიკი (14), კლარკი (14), არენასი (11).

**ნ-ო:** გრინი (24), უესტი (17+17 მოხსნა), პოლი (15+7 პასი), ჯეკი (13), არიზა (10), ანდერსენი (10).

**ფილადელფია-სან ანტონიო 77:71**

27:22, 19:24, 14:12, 17:13

**ფ:** ჰოლიდეი (27), ჰაუსი (13+8 მოხსნა), ბრენდი (8+17 მოხსნა).

**ს-ა:** დანკანი (16+13 მოხსნა), მაკდაესი (11+11 მოხსნა), ნილი (11), ბლეირი (8+14 მოხსნა).

**ტორონტო-პორტლენდი 96:102**

19:23, 28:32, 23:17, 26:30

**ტ:** ოლდრიჯი (29), ბეილესი (18), დეროზანი (17), უიმსი (10), დევისი (6+13 მოხსნა).

**პ:** ოლდრიჯი (37+10 მოხსნა), ფერნანდესი (23), მილერი (13+8 პასი).

**შარლოტი-ნიუ ჯერსი 89:94**

21:24, 16:28, 23:20, 29:22

**შ:** ჯექსონი (21), უოლასი (20+9 მოხსნა), დიაო (12), ჰენდერსონი (11), ლივინგსტონი (10).

**ნ-ჯ:** ლოპესი (31+11 მოხსნა), ჰარისი (16+8 პასი), ჰემფრიზი (15+14 მოხსნა), ვუიაჩიჩი (10).

**კლივლენდი-კლიპერსი 126:119 (ო)**

29:33, 23:20, 31:28, 27:29, 16:9

**კლივ:** ჯეიმისონი (35+9 მოხსნა), ჰიქსონი (27+14 მოხსნა), უილიამსი (17+14 პასი), გიბსონი (17), სეშენსი (12+5 პასი).

**კლიპ:** გრიფინი (32+13 მოხსნა), დევისი (26+7 პასი), ფოიე (23), ბლედსოუ (13), გომესი (10+7 მოხსნა).

**დეტროიტი-მაიამი 92:106**

21:25, 22:39, 22:22, 27:20

**დ:** დეი (18), გორდონი (16+7 მოხსნა), პრინსი (11).

**მ:** უეიდი (24+8 მოხსნა+7 პასი), ბოში (17+10 მოხსნა), ჯეიმსი (16+10 მოხსნა+8 პასი), მილერი (16), ილგაუსკასი (10), ჩელმერსი (10).

**ნიუ იორკი-ლეიკერსი 96:113**

28:30, 20:32, 20:23, 28:28

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (24+10 მოხსნა), ფელტონი (20+7 პასი), გალინარი (14), ჩენდლერი (13), მოზგოვი (7+11 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (33+10 მოხსნა), პ. გასოლი (20), ოდომი (14), ბინუმი (12+9 მოხსნა), ბრაუნი (12).

**მემფისი-მილუოკი 89:86**

20:17, 25:23, 18:28, 26:18

**მემ:** კონლი (23+8 პასი), იანგი (19+8 მოხსნა), გეი (14+10 მოხსნა), არტური (12+8 მოხსნა), ალენი (10).

**მილ:** მაგეტი (22), სელმონსი (18+6 პასი), ჯენინგსი (16), ბოგუტი (5+14 მოხსნა).

**იუტა-ფინიქსი 83:95**

31:19, 25:25, 13:27, 14:24

**ი:** უილიამსი (19+14 პასი+8 მოხსნა), მაილზი (19), მილსეპი (16), ჰეივორდი (14), ჯეფერსონი (4+12 მოხსნა).

**ფ:** ნეში (18+10 პასი), უორიკი (16), ლოპესი (14), გორტატი (12+10 მოხსნა).

**12 თებერვალი**

**ატლანტა-შარლოტი 86:88**

27:27, 25:12, 20:29, 14:20

**ა:** სმიტი (28), ჰორფორდი (16+10 მოხსნა), ბიბი (11+6 პასი), ჯონსონი (11).

**შ:** ჯექსონმა (32), ლივინგსტონი (22), უოლასი (16+13 მოხსნა+7 პასი).

**ნიუ ჯერსი-ნიუ იორკი 95:105**

21:27, 33:32, 14:13, 27:33

**ნ-ჯ:** ჰარისი (22), ლოპესი (19), ვუიაჩიჩი (15), ფარმარი (12), ფეივორსი (9+14 მოხსნა), ჰემფრიზი (8+11 მოხსნა).

**ნ-ი:** ჩენლერი (21+8 მოხსნა+5 დაფარება), დაგლასი (19), ფილდსი (14), ფელტონი (13+11 პასი), უოკერი (11).

**ნიუ ორლეანი-ჩიკაგო 88:97**

22:24, 31:18, 21:30, 14:25

**ნ-ო:** ტორნტონი (24), უესტი (17), პოლი (15+6 პასი), ჯეკი (10).

**ჩ:** როუზი (23+6 პასი), ბუზერი (17+8 მოხსნა), დენგი (14), ბოგანსი (11), ტომასი (4+11 მოხსნა).

**მინესოტა-ფილადელფია 87:107**

32:28, 18:26, 24:31, 13:22

**მ:** ლავი (16+13 მოხსნა), ბრიუერი (15), რიდნური (13), ფლინი (12), ტოლივერი (9+10 მოხსნა).

**ფ:** იანგი (18), მიქსი (16), იგუოდალა (15+7 პასი), უილიამსი (13), ბრენდი (12+9 მოხსნა), ჰოუესი (12), ჰოლიდეი (10).

**ვაშინგტონი-სან ანტონიო 94:118**

18:37, 27:35, 20:29, 29:17

**ვ:** ბლეტჩი (16+9 მოხსნა), მარტინი (16), მაკგი (14).

**ს-ა:** პარკერი (18+8 პასი), ჰილი (18), ნილი (16), ჯეფერსონი (14), ბლეირი (13+12 მოხსნა), ბონერი (12).

**ჰიუსტონი-დალასი 102:106**

25:23, 19:34, 23:26, 35:23

**ჰ:** ლოური (26+8 პასი), მარტინი (17), ბატიე (14+7 მოხსნა), ჰილი (10+9 მოხსნა), ჰეიესი (10+7 მოხსნა).

**დ:** ნოვიცკი (22), სტოიაკოვიჩი (22), მერიონი (14+9 მოხსნა), ჩენდლერი (12+7 მოხსნა), ბარეა (11), კიდი (11).

**მილუოკი-ინდიანა 97:103**

29:32, 20:19, 23:24, 25:28

**მ:** დელფინო (21), დულინგი (13), ბოიკინსი (11), ილიასოვა (10), ჯენინგსი (10), ბოგუტი (9+12 მოხსნა).

**ი:** გრეინჯერი (30), კოლისონი (22), ჰიბერტი (13+8 მოხსნა+6 პასი), ჯორჯი (11+7 მოხსნა).

**საკრამენტო-ოკლაჰომა 97:99**

24:27, 21:27, 27:21, 25:24

**ს:** ევანსი (30+9 მოხსნა), კაზინსი (14+12 მოხსნა), კასპი (14+9 მოხსნა), უდრიხი (13+7 პასი), დალემბერი (10), ლენდრი (10).

**ო:** დურანტი (35), უესტბრუკი (22+7 პასი), ჰარდენი (11+5 ჩაჭრა).


სპურსი ვაშინგტონთან გამოსწორდა

# კლივლენდელი პიპენს გაუტოლდა

„კლიპერსთან" მატჩი ორმაგად სასიამოვნო იყო „კლივლენდის" ერთ-ერთი ლიდერისთვის **ანტუან ჯეიმისონისთვის**. გარდა იმისა, რომ „კავალიერზმა" შეწყვიტა 26-მატჩიანი წაგებათა სერია, მძიმე ფორვარდმა კარიერაში 18 000 ქულა დააგროვა.

სხვათა შორის, 34 წლის ჯეიმისონი მესამე კალათბურთელი გახდა NBA-ის ისტორიაში, ვინც ერთდროულად თავს იწონებს 18 ათასი ქულით, 7 ათასი მოხსნითა და 900 სამქულიანით. ასეთი შედეგით მხოლოდ ლეგენდარული **სკოტი პიპენი** და „დალას მავერიქსის" ლიდერი **დირკ ნოვიცკი** დაიკვეხნიან.

ჯეიმისონი მე-15 სეზონს ატარებს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. დღეისთვის ვეტერანი ფორვარდი საშუალოდ 17.6 ქულასა და 6.6 მოხსნას აგროვებს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი



ფორსბერგს დებიუტი არ გამოუვიდა

# ფორსბერგის დებიუტი და ომი ნიუ იორკში

1008 დღე - ზუსტად ამდენი გავიდა NHL-ში **პეტერ ფორსბერგის** ბოლო მატჩიდან. შაბათს ლეგენდარული შვედის გუნდი „კოლორადო" „კოლამბუსს" სტუმრობდა და სწორედ აქ შედგა მიმდინარე სეზონში ფორსბერგის დებიუტი. ვეტერანი მეორე შეტევით სამეულში **მილან ჰეიდუკთან** და **მეტ დუშენთან** დააყენეს.

ფორსბერგი აკურატულად თამაშობდა, ძალისმიერ ილეთებს ერიდებოდა, სამაგიეროდ, შეტევაში აქტიურად მიდიოდა. თუმცა მთელ რიგ ეპიზოდებში, როცა შვედისგან დარტყმას ელოდნენ, ვეტერანი პასს იძლეოდა, ამიტომაც ჰქონდა მხოლოდ ერთი ზუსტი დარტყმა. „კოლორადოს" პირველი გოლი კი მეოთხე სამეულის ფორვარდმა **ფილიპ დუპუიმ** გაიტანა, რომელმაც ცენტრში ჩაჭრა მეტოქის გადაცემა და მეკარესთან ერთი ერთზე გასულმა ლამაზად მოატყუა **გარონი**.

დარჩენილ დროში გოლებს მხოლოდ „კოლამბუსი" იტანდა. რომ არა „კოლორადოს" მეკარე **ბუდაი**, ანგარიში გამანადგურებელი იქნებოდა, ასე კი მასპინძლებმა სამჯერ აილეს მეტოქის კარი, აქედან ერთხელ ცარიელ კარში გაიტანეს, როცა სტუმრებს მეკარე წინა ხაზის მეექვსე მოთამაშით ჰყავდათ შეცვლილი. „კოლორადომ" ზედიზედ მეექვსედ წააგო, ფორსბერგმა კი 18 წუთი ითამაშა და „-2" სარგებლიანობის კოეფიციენტით დაასრულა მატჩი.

„პიტსბურგის" გასაჭირზე წინა ნომერში მოგიყევით. ტრავმებით დატანჯული „პინგვინები" აქამდე მაინც ახერხებდნენ ქულების მოგროვებას, მაგრამ ბოლო მატჩში აუტსაიდერ „აილენდერსთან" სრული ფიასკო ელოდათ. უხვგოლიანი მატჩი სკანდალურად წარიმართა. პირველ პერიოდში მაყურებელმა ორი ჩხუბი და ოთხი შაიბა იხილა. მათ გასახარად, ოთხივე გოლი „აილენდერსმა" გაიტანა. დაიწყო მეორე პერიოდი და „კუნძულელებმა" კიდევ ორჯერ გაუტანეს **ჯონსონს**. ამის შემდეგ „პინგვინები" საბოლოოდ გამოვიდნენ წყობიდან და ჩეხაზე გადავიდნენ. მეორე პერიოდის მეხუთე წუთზე ისეთი გრანდიოზული ჩხუბი ატყდა, რომლის შემდეგაც მსაჯებმა 14 ჰოკეისტი დასაჯეს. პერიოდის დასრულებამდე მეტოქეებმა მუშტები დაასვენეს და ორ-ორი შაიბა გაუტანეს ერთმანეთს.

მაგრამ მასობრივი ჩხუბი ბოლო 20-წუთეულში გაგრძელდა. მასში უკვე ათი ჰოკეისტი იყო ჩართული. გარდა ამისა, შეხვედრის ბოლომდე არაერთხელ ვიხილეთ ბინძური ილეთები. არ გაგიკვირდეთ, თუ უახლოეს ორ-სამ დღეში „აილენდერსისა" და „პიტსბურგის" რომელიმე მოთამაშის ტრავმის შესახებ გვამცნობენ. მეტოქეებმა ჯამში 317 საჯარიმო წუთი მიიღეს, მატჩის ანგარიშიც უცნაური იყო - 9:3 „აილენდერსის" სასარგებლოდ.

### 11 თებერვალი

**ბოსტონი-დეტროიტი 1:6**

1:2, 0:3, 0:1

**გოლები:** 0:1 ბერტუცი-9 (ფრანცენი-16, ზეტერბერგი-42), 0:2 ქლირი-17 (ჰუდლერი-16, კრონვალი-17), 1:2 კრეისი-8 (ლუჩიჩი-15, ხარა-20), 1:3 ჰუდლერი-6 (ზეტერბერგი-43, რაფალსკი-31), 1:4 ზეტერბერგი-17 (ჰოლმსტრიომი-12, ქლირი-13), 1:5 ბერტუცი-10 (დაციუკი-29), 1:6 ჰოლმსტრიომი-12 (ჰუდლერი-17, დაციუკი-30).

**კოლამბუსი-კოლორადო 3:1**

0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 დუპუი-4, 1:1 ნეში-25 (ვორაჩეკი-25, ტიუტინი-17), 2:1 ბრასარი-14 (ნეში-23), 3:1 მაკენზი-3 (პალსონი-8).

**ნიუ ჯერსი-სან ხოსე 2:1**

0:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 0:1 პარლო-21 (ვალინი-4, პაველსკი-27), 1:1 როლსტონი-8 (კოვალჩუკი-19, ელიაში-28), 2:1 კოვალჩუკი-19 (ზაიაცი-24).

**აილენდერსი-პიტსბურგი 9:3**

4:0, 4:2, 1:1

**გოლები:** 1:0 ჰამონიჩი-2 (გრაბნერი-9, ნილსენი-20), 2:0 იოენსუ-4 (ბეილი-10, მ. მარტინი-5), 3:0 პარენტო-14 (ჰამონიჩი-11, ტავარესი-23), 4:0 გრაბნერი-20 (ჟერვე-5, მარტინეკი-7), 5:0 ტავარესი-20 (ჰამონიჩი-12, მოულსონი-13), 6:0 ჰეილი-1 (ჰილენი-8), 6:1 ლეტანგი-8 (გოლიგოსკი-20, სტირლინგი-1), 6:2 ჯ. სტაალი-5 (ტაილერ კენედი-16), 7:2 მოულსონი-20 (პარენტო-21, ტავარესი-24), 8:2 მოულსონი-21 (ტავარესი-25, იურჩინა-8), 8:3 ტაილერ კენედი-11 (ლეტანგი-35, ვიტალი-1), 9:3 გრაბნერი-21.

**ატლანტა-რეინჯერსი 3:2**

1:0, 0:1, 2:1

**გოლები** 1:0 ე. სტიუარტი-14 (ბურმისტროვი-12, ე. კეინი-17), 1:1 მ. სტაალი-7 (გაბორიკი-19, პროსპალი-1), 1:2 დუბინსკი-19 (გაბორიკი-20, მაკდონაჰი-2), 2:2 ე. კეინი-15 (ე. სტიუარტი-18, ჰეინსი-7), 3:2 ე. კეინი-16 (ბიფულინი-26, ენსტრიომი-34).

**სტ. ლუისი-მინესოტა 4:5 (ბ)**

2:1, 0:1, 2:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ბერგლუნდი-13 (ოში-11, კოლაიაკოვო-13), 1:1 ბრუნეტი-15 (ბერნსი-19, მ. კოივუ-32), 2:1 ენდი მაკდონალდი-9 (ბოიესი-24, პოლაკი-4), 2:2 კლატერბეკი-15 (ჰავლატი-32), 3:2 ბექსი-19 (ბოიესი-25, ჯეკმენი-10), 3:3 კლატერბეკი-16 (ბროძიაკი-12), 4:3 ბექსი-20 (პიეტრანჯელო-19, ენდი მაკდონალდი-12), 4:4 ჰავლატი-16 (მ. კოივუ-33, ბრუნეტი-17).

**ბულიტები გაიტანეს:** ოში (სტ. ლუისი), ბუშარი (მინესოტა), ბოიესი (სტ. ლუისი), მ. კოივუ (მინესოტა), ბერნსი (მინესოტა), სტინი (სტ. ლუისი), მადენი (მინესოტა).

**დალასი-ჩიკაგო 4:3 (ბ)**

0:3, 2:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 პ. კეინი-18, 0:2 სიბრუკი-4 (ტეუვზი-30, პ. კეინი-27), 0:3 შარპი-28 (ტეუვზი-31, პ. კეინი-28), 1:3 რობიდასი-4, 2:3 ბ. რიჩარდსი-23, 3:3 მოროუ-24 (ლანგენბრუნერი-14, რობიდასი-22).

**ბულიტები გაიტანეს:** მოროუ (დალასი), ტეუვზი (ჩიკაგო), ბ. რიჩარდსი (დალასი), შარპი (ჩიკაგო), რიბეირო (დალასი).

**კალგარი-ანაჰაიმი 4:5 (ო)**

0:1, 2:2, 2:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ს. კოივუ-12 (ჯ. ბლეიკი-9, სელიანე-34), 1:1 ბურკი-17 (რეგერი-11, იგინლა-30), 2:1 ო. იოკინენი-11 (გლენკროსი-10, მოსი-8), 2:2 ს. კოივუ-13 (სელიანე-35, ჯ. ბლეიკი-10), 2:3 მაკმილანი-7 (პერი-30, სატონი-4), 3:3 იგინლა-23 (რეგერი-12, ბ. მორისონი-25), 4:3 გლენკროსი-16 (მოსი-9, ო. იოკინენი-26), 4:4 სელიანე-16 (გეტცლაფი-26, პერი-31), 4:5 ფალური-7 (ს. კოივუ-19, სელიანე-36).

### 12 თებერვალი

**ვაშინგტონი-ლოს ანჯელესი 1:4**

1:0, 0:1, 0:3

**გოლები:** 1:0 ოვეჩკინი-21, 1:1 კოპიტარი-17 (სიმონდსი-9, ჰანძუში-14), 1:2 ლოკტიონოვი-3 (კლიფორდი-5, მეტ გრინი-5), 1:3 ჰანძუში-8 (კოპიტარი-35, სიმონდსი-10), 1:4 სტოლი-16 (ჯასტინ უილიამსი-25, რ. სმიტი-17).

**ედმონტონი-ოტავა 3:5**

1:2, 1:0, 1:3

**გოლები:** 0:1 ბ. ბატლერი-1, 1:1 კოლიანო-9 (ებერლე-18, ფოსტერი-10), 1:2 კოვალიოვი-12 (ფოლინო-13), 2:2 პენერი-19 (ჰემსკი-23), 2:3 მ. მიხალეკი-14 (ბ. ბატლერი-1, სპეცა-13), 2:4 რეგინი-3 (კოვალიოვი-13, ფოლინო-14), 3:4 პენერი-20 (ჰემსკი-24, უმარკი-11), 3:5 კოვალიოვი-13 (სპეცა-14, ე. კარლსონი-23).

**მონრეალი-ტორონტო 3:0**

0:0, 2:0, 1:0

**გოლები:** 1:0 პუიო-12 (დეშარნე-6, ჰამრლიკი-19), 2:0 ჯონტა-21 (პასიორეტი-9), 3:0 დეშარნე-5 (გომესი-22, ჰამრლიკი-20).

**ტამპა ბეი-კაროლინა 4:3 (ო)**

0:0, 2:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 დაუნი-7 (სენტ ლუისი-46, სტემკოსი-34), 2:0 ლეკავალიე-12 (პურსელი-24, საიმონ განიე-9), 2:1 ე. სტაალი-27 (პიტკანენი-22, ე. კოული-18), 3:1 ბერგენჰაიმი-11 (ტირელი-7), 3:2 სკინერი-21 (ე. სტაალი-29, ტ. რუუტუ-30), 3:3 ე. კოული-15 (პიტკანენი-23, კორვო-21), 4:3 მ-ა. ბერუერონი-1 (ბერგენჰაიმი-12).

**ნეშვილი-კოლორადო 5:3**

1:1, 1:1, 3:1

**გოლები:** 0:1 პორტერი-10 (ვ. შჩასტნი-27, ჰანვიკი-6), 1:1 შ. უებერი-11 (ერატი-18, რ. სატერი-25), 2:1 ერატი-9 (ჰორნკვისტი-14, ს. კოსტიცინი-18), 2:2 დ. ჯონსი-19 (ვინიკი-10, რ. ო'რაილი-11), 2:3 დუშენი-21 (იიპი-10, პორტერი-7), 3:3 ჰორნკვისტი-17 (ლეგვანდი-12, სალივანი-11), 4:3 ფრანსონი-7, 5:3 ლეგვანდი-9 (ერატი-19, ფიშერი-11).

**ფინიქსი-ჩიკაგო 3:2 (ბ)**

1:0, 1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ვრბატა-15 (რეი უიტნი-32), 2:0 პიატი-14 (დოუნი-26, ლეპისტო-7), 2:1 ბროუერი-16 (მარიან ჰოსა-18, ბოლანდი-14), 2:2 კეიტი-5 (ბ. კემპბელი-17, ბოლანდი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** ვრბატა (ფინიქსი).

**მინესოტა-სტ. ლუისი 3:1**

1:0, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 კლატერბეკი-17 (სპარჯონი-3, ბუშარი-14), 2:0 მიეტინენი-11 (ბრუნეტი-18), 3:0 ბროძიაკი-11 (ბერნსი-20), 3:1 ბერგლუნდი-14 (ოში-12, ბოესი-26).

**ვანკუვერი-კალგარი 4:2**

1:0, 2:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ბაროუზი-16 (რეიმონდი-19, მალორტა-12), 1:1 ჯეკმენი-10 (სტაიანი-21, ბაბჩუკი-19), 1:2 გლენკროსი-17 (ბ. მორისონი-26, იგინლა-31), 2:2 სამუელსონი-14 (რეიმონდი-20, ბიეკსა-13), 3:2 სამუელსონი-15 (ერჰოფი-23, დ. სედინი-44), 4:2 ბაროუზი-17 (რომი-3, მალორტა-13).

## ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ბოსტონი-მაიამი | 85:82 |
| ორლანდო-ლეიკერსი | 89:75 |
| **ისრაელი** | |
| ირონი-ელიცური | 74:76 |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ა) | 99:82 |
| ჰაპოელი (გ)-ბნეი ჰაშარონი | 48:69 |
| **საბერძნეთი** | |
| ირაკლისი-პერისტერი | 57:72 |
| აეკ-პაოკ | 73:80 |
| მარუსი-კავალა | 76:63 |
| **გერმანია** | |
| ტელეკომ ბონი-მიტლდოიჩე | 73:72 |
| ტრიერი-ჰაგენი | 81:80 |
| ბამბერგი-ბრაუნშვაიგი | 68:55 |
| **იტალიის თასი** | |
| მონტეპასკი-კანტუ | 79:72 |
| **ესპანეთის თასი** | |
| რეალი-ბარსელონა | 60:68 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **NHL** | |
| დეტროიტი-ბოსტონი | 4:2 |
| ბაფალო-აილენდერსი | 6:7 (ო) |
| დალასი-კოლამბუსი | 1:2 |
| რეინჯერსი-პიტსბურგი | 5:3 |
| ფილადელფია-ლოს ანჯელესი | 0:1 |
| **ევროტური** | |
| რუსეთი-ჩეხეთი | 4:2 |
| შვედეთი-ფინეთი | 3:2 (ბ) |
| **ავსტრია** | |
| ზაგრები-აკრონი | 2:5 |
| ალბა-ვილახი | 2:3 |
| კლაგენფიურტი-ვენა | 4:3 |
| გრაცი-ლინცი | 4:2 |
| ოლიმპია-ზალცბურგი | 3:5 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. როტერდამი** | |
| სიოდერლინგი-ცონგა | 6:3, 3:6, 6:3 |
| **ATP. სან ხოსე** | |
| ვერდასკო-დელ პოტრო | 6:4, 6:4 |
| **WTA. პარიზი** | |
| კლაისტერსი-კვიტოვა | 4:6, 3:6 |
| **WTA. პატაია** | |
| ჰანტუხოვა-ერანი | 6:0, 6:2 |

## TV პროგრამა

**14 თებერვალი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

00:00 ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-ჩელსი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ბილბაო (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

05:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მილუოკი-კლიპერსი (LIVE).

**EUROSPORT**

12:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება). გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).

16:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. I დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).

16:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. სუპერკომბინაცია (სლალომი). გარმიშ-პარტენკირხენი. გერმანია (LIVE).

18:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. I დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).

**EUROSPORT-2**

12:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).

19:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. დუბაი. საემიროები (LIVE).

23:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. I დღე. ნიუპორტი. ბრიტანეთი (LIVE).

## სამთო სათხილამურო სპორტი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

# ავსტრიული ფესტივალი

სენსაციურად დასრულდა გარმიშში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე კაცებს შორის სწრაფდაშვება. კანადელმა **ერიკ გუიემ** არაფრად ჩააგდო ფავორიტთა კარგი მომზადება და ოქროს მედალი დაიმსახურა.

გარმიშის ტრასა ერთ-ერთი ყველაზე რთულია. თუ ავსტრიის კიტცბუელში დიდია წაქცევისა და ტრავმის მიღების შანსი, გერმანიის ამ კურორტზე სხვა პრობლემებია - აქაური ტრასა მომქანცველია, რასაც ფინიშის შემდეგ სპორტსმენთა გამომეტყველებაც ადასტურებდა. თვით ნორვეგიელმა **აქსელ-ლუნდ სვინდალმა** ფინიშის შემდეგ თავი ვერ შეიმაგრა და სარეკლამო ბანერს შეასკდა.

ორი სანვრთნელი დაშვების შემდეგ ასე თუ ისე გამოიკვეთა ფავორიტთა ჯგუფი. ცხადი გახდა, რომ პირველობისთვის ორი მოთხილამურე იბრძოლებდა - შვეიცარიელი **დიდიე კუში** და იტალიელი **კრისტოფ ინერჰოფერი**, რომელმაც სამი დღის წინ სუპერგიგანტი მოიგო.

ამ დუეტიდან პირველი ტრასაზე ინერჰოფერი გავიდა. კრისტოფმა ძალიან კარგი დრო აჩვენა და აშკარად ჩანდა, რომ მინიმუმ პოდიუმზე ასვლის უფლება მოიპოვა. დიდიე კუშს წესით გაუჭირდებოდა ამ შედეგის გაუმჯობესება. გაუჭირდა კიდეც, მაგრამ მაინც დაამარცხა იტალიელი, მაგრამ...

ინერჰოფერის შემდეგ სტარტზე კანადელი ერიკ გუიე გავიდა. ამ მოთხილამურეს ჩქაროსნული დისციპლინების სპეციალისტად იცნობენ. ერთ დროს ის უძლიერესთა ჯგუფში შედიოდა, პოდიუმებზეც ადიოდა და ეტაპებიც აქვს მოგებული, მაგრამ ამ სეზონში კანადელს სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა. თავად განსაჯეთ: გუიემ აქამდე ჩატარებულ მსოფლიო თასის ეტაპებზე ერთხელაც ვერ შეაღწია ათეულში. შაბათს კი მან გარმიშის ტრასის რეკორდი დაამყარა და ოქროს მედალიც დამსახურებულად მოიგო.

ვერაფერი მოუხერხეს კანადელის დროს **მიხაელ ვალჰოფერმა** და სვინდალმა, არც **ბოდე მილერს** გამოუვიდა დაშვება. კუშმა და ინერჰოფერმა მედლები მოიპოვეს, მაგრამ გუეისთან ბრძოლა წააგეს.

■ ■ ■

მსოფლიოს ჩემპიონატის ქალთა ნაწილი ნამდვილ ავსტრიულ ფესტივალს დაემსგავსა - მესამე სტარტი და ამ ქვეყნის ქალთა ნაკრების მესამე ოქრო.

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ იმის შესახებ, რომ ამერიკელი **ლინდსი ვონი** და გერმანელი **მარია რიში** ბოლომდე ჯანმრთელები არ არიან, ამიტომაც გუშინდელ სწრაფდაშვებაში მთავარ ფავორიტად **ელიზაბეტ გიორგლი** მოიაზრებოდა, რომელმაც გარმიშში ბრწყინვალე სტილში მოიგო სუპერგიგანტი და სუპერკომბინაციის სწრაფდაშვების ნაწილი.

გიოგლმა გაამართლა ფავორიტის სტატუსი. ბრწყინვალე სიჩქარემ და შესანიშნავმა ტექნიკამ ელიზაბეტს ტრასის რეკორდის დამხობის საშუალება მისცა. ამ შედეგის გაუმჯობესებას მხოლოდ ვონი ან რიში თუ შეძლებდნენ.

გრიპით დასნეულებული მარია ბევრს ეცადა და იმ დღეს ყველაზე მეტი აპლოდისმენტი დაიმსახურა. მას სულ ოდნავ არ ეყო ძალა ფინალურ მონაკვეთზე, მაგრამ გუშინდელი მესამე ადგილი გერმანელისთვის გამარჯვების ტოლფასია.

ლინდსი ვონმა კი მაინც მოიპოვა ამ ჩემპიონატზე პირველი და ალბათ, უკანასკნელი მედალი. ამერიკელმა კარგად ისრიალა, განსაკუთრებით ფინალურ მონაკვეთზე, მაგრამ გიორგლისთვის კონკურენციის გაწევა მაინც ვერ მოახერხა.

ამ ჩემპიონატზე აშკარად არ უმართლებს შვეიცარიელ **ლარა გუტს**, რომელმაც მეოთხე ადგილი დაიკავა და ისევ მედლების გარეშე დარჩა. უნდა აღვნიშნოთ **ტინა მაზეს** მაღალი მეხუთე ადგილი დისციპლინაში, რომელიც არ ითვლება სლოვენიელის სტიქიად. **ჯულია მანკუზოსგან** კი პირიქით, მედალს ელოდნენ, მაგრამ ამერიკელი მხოლოდ მეექვსე იყო.

**სწრაფდაშვება**

| კაცები | |
|---|---|
| 1. ერიკ გუიე (კან) | 1:58.41 |
| 2. დიდი კუში (შვეიც) | +0.32 |
| 3. კრისტოფ ინერჰოფერი (იტა) | +0.76 |
| 4. რომებ ბაუმანი (ავსტრია) | +1.10 |
| 5. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორ) | +1.42 |
| 6. ანდრეი სპორნი (სლოვენ) | +1.84 |

| ქალები | |
|---|---|
| 1. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 1:47.24 |
| 2. ლინდსი ვონი (აშშ) | +0.44 |
| 3. მარია რიში (გერ) | +0.60 |
| 4. ლარა გუტი (შვეიც) | +0.94 |
| 5. ტინა მაზე (სლოვენ) | +0.98 |
| 6. ჯულია მანკუზო (აშშ) | +1.06 |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

როლან გაროსი ძალაშია



# საფრანგეთის ღია როლან გაროსზე დარჩა

საფრანგეთის ღია პირველობა ისევ როლან გაროსის კომპლექსში გაიმართება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ. ლეგენდარული არენა გაფართოვდება და უფრო თანამედროვე გახდება, მაგრამ მაინც ყველაზე მცირე კომპლექსი იქნება „დიდი სლემის“ სხვა ტურნირების სტადიონებთან შედარებით.

როლან გაროსის გარდა, ტურნირის ჩატარებაზე პრეტენზიას ვერსალი, გონესი და მარნ-ლა-ვალე (პარიზის დისნეილენდი) აცხადებდნენ. კენჭისყრის პირველ წრეში გონესი გავარდა, მეორეში - ვერსალი, ფინალში კი როლან გაროსმა სხდომის წევრთა ხმების 70 პროცენტი მიიღო. სხვათა შორის, მარნ-ლა-ვალეს კანდიდატურის სასარგებლოდ მისცა ხმა მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **ამელი მორესმომ**.

„ჩემი აზრით, დღეისთვის პარიზში არ არსებობს ტურნირის განვითარების შესაძლებლობა. ჩვენ ყველაზე პატარა ჩემპიონატი გვაქვს „დიდი სლემის“ ტურნირებს შორის და ვფიქრობ, აუცილებელია გაფართოება, რათა მაყურებელმა მეტი სივრცე მიიღოს“, - განაცხადა მორესმომ.

ფორმულა 1

# სენსაცია ჰაიდფელდისგან

გამოცდილმა გერმანელმა პილოტმა **ნიკ ჰაიდფელდმა** დიდი ნაბიჯი გადადგა „ლოტუს-რენოში“ ტრავმირებული **რობერტ კუბიცას** ადგილის დასაკავებლად. ცნობილია, რომ ამ საჯინიბოს ხელმძღვანელობა პოლონელის შემცვლელს ეძებს და როგორც ჩანს, იპოვა კიდეც. „ლოტუს რენოს“ ახალი მანქანით წინა ორ დღეს ტესტებს რუსი **ვიტალი პეტროვი** ატარებდა, რომელსაც ორჯერ ავარია მოუვიდა და ათეულშიც ვერ შეაღწია, გერმანელმა კი პირველივე ჯერზე სწრაფად აუღო ალღო მისთვის უცხო ტექნიკას და ხერესის ტესტების მესამე დღეს მთელი ერთი წამით აჯობა რუსის მიერ წინა დღეს ნაჩვენებ დროს. შუადღის შესვენების შემდეგ კი სატესტო სესიის ბოლომდე პირველობა გაინაღდა.

ჰაიდფელდის დრო სულ რაღაც 0.009 წამით უარესი იყო წინა დღის ლიდერის - **მიხაელ შუმახერის** შედეგზე. აღსანიშნავია, რომ ნიკმა საუკეთესო შედეგი რვაწრიანი სერიის დასაწყისში დაამყარა, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ მის მანქანაში საწვავის ავზი ბოლომდე ცარიელი არ ყოფილა. კიდევ ერთი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ პეტროვი აშკარად აფერხებს „ლოტუს რენოს“ წინსვლას. შარშანდელი გაუთავებელი შეცდომების შემდეგ გაუგებარია, რატომ დატოვა გუნდმა რუსი ძირითად პილოტად.

მეორე დრო აჩვენა **ფერნანდო ალონსომ**, რომელიც ჰაიდფელდს 0.132 წამით ჩამორჩა. „ფერარის“ ესპანელმა პილოტმა **ფელიპე მასა** შეცვალა და გუშინ ყველაზე მეტი - 131 წრე გაიარა. ასევე გადაცდა ასწრიან ზღვარს მიხაელ შუმახერი. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მესამე იყო, რითაც დაადასტურა „მერსედესის“ პროგრესი.

„მაკლარენმა“ ბევრი დრო დაკარგა მანქანისთვის საჭირო დეტალების არქონის გამო. ამიტომაც **ლუის ჰემილტონმა** მხოლოდ 36 წრე გაიარა, თუმცა მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. ისიც აღსანიშნავია, რომ ბრიტანელმა ეს დრო მოკლე სესიებისას დააფიქსირა.

გუშინ ტრასაზე ვიხილეთ მსოფლიოს ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი**. მას მეექვსე დრო ჰქონდა. „რედ ბულმა“ ისევ წრეების გრძელ სერიებზე იმუშავა და სებამ სტაბილურად მაღალი საშუალო დრო აჩვენა.

■ ■ ■

ხერესის ტესტები გუშინ დასრულდა და ბოლო დღეს მაყურებელმა მოულოდნელი შედეგები იხილა. „უილიამსის“ პილოტმა **რუბენს ბარიკელომ** ყველაზე მაღალი სიჩქარე განავითარა, თანაც უახლოეს მდევარს ძალიან ბევრი - 0.769 წამი მოუგო.

ალონსომ ზედიზედ მეორე დღეს აჩვენა კარგი შედეგი და ისევ საუკეთესო სამეულში მოხვდა. გულშემატკივრებს იმედები გაუცრუეს **ჯენსონ ბატონმა** და ფეტელმა, რომლებმაც კონკურენცია ვერ გაუწიეს დღის ლიდერებს.

| III დღე | |
|---|---|
| 1. ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო) | 1:20.361 (86) |
| 2. ალონსო (ფერარი) | +0.132 (131) |
| 3. შუმახერი (მერსედესი) | +0.693 (114) |
| 4. ჰემილტონი (მაკლარენი) | +0.738 (36) |
| 5. კობაიაში (ზაუბერი) | +0.881 (84) |
| 6. ფეტელი (რედ ბული) | +1.213 (98) |
| 7. ბუემი (ტორო როსო) | +1.320 (92) |
| 8. კოვალაინენი (ლოტუსი) | +1.350 (61) |
| 9. ბარიკელო (უილიამსი) | +1.866 (99) |
| 10. დი რესტა (ფორს ინდია) | +2.584 (64) |
| 11. დ'ამბროზიო (ვირჯინი) | +5.110 (72) |

| IV დღე | |
|---|---|
| 1. ბარიკელო (უილიამსი) | 1:19.832 (104) |
| 2. კობაიაში (ზაუბერი) | +0.769 (86) |
| 3. ალონსო (ფერარი) | +1.242 (115) |
| 4. ბუემი (ტორო როსო) | +1.381 (90) |
| 5. სენა (ლოტუს-რენო) | +1.568 (68) |
| 6. კოვალაინენი (ლოტუსი) | +1.800 (43) |
| 7. როსბერგი (მერსედესი) | + 2.271 (45) |
| 8. ფეტელი (რედ ბული) | +2.39 (90) |
| 9. ბატონი (მაკლარენი) | +2.446 (70) |
| 10. დ'ამბროზიო (ვირჯინი) | +3.153 (45) |
| 11. დი რესტა (ფორს ინდია) | +3.279 (99) |

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# კიმი პირველია

გასული ორი დღის მთავარი მოვლენა, რა თქმა უნდა, ბელგიელ **კიმ კლაისტერსს** უკავშირდება. როგორც მოსალოდნელი იყო, ავსტრალიელმა **ელენა დოკიჩმა** ღირსეული წინააღმდეგობა ვერ გაუწია ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონს. ერთადერთი, რაც დოკიჩმა მოახერხა, საწყისი სამი გეიმის მოგება და 3:0 დაწინაურება იყო, მაგრამ ამის შემდეგ კორტზე მხოლოდ ერთი ჩოგბურთელი თამაშობდა - კიმმა ზედიზედ 12 (!) გეიმი აიღო და 6:3, 6:0 გაიმარჯვა, რითაც დაიბრუნა პირველობა WTA-ის კლასიფიკაციაში. ბელგიელის ამჟამინდელი სათამაშო ფორმა იმაზე მეტყველებს, რომ ის დღეს მართლაც საუკეთესო ჩოგბურთელია მსოფლიოში.

კლაისტერსი ამაზე არ შეჩერდა და ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა. ესტონელ **კაია კანეპისთან** ნახევარფინალში ბელგიელმა მეორე სეტის დასაწყისი ჩააგდო (პირველი პარტია 6:1 მოიგო), 1:4 ჩამორჩა, 4:5-ზე კი სეტბოლის მოგერიებამ მოუწია, მაგრამ მაინც ორ სეტში მოიგო შეხვედრა.

მეორე ნახევარფინალში ჩეხმა **პეტრა კვიტოვამ** ამერიკელი **ბეტანი მატეკი** გაანადგურა. 3:2-მდე კორტზე თანაბარი ბრძოლა იყო, რის შემდეგაც კვიტოვამ ზედიზედ ცხრა გეიმი აიღო და ზუსტად ერთი საათი მოანდომა ფინალის საგზურის მოპოვებას. სხვათა შორის, პეტრა კარიერაში პირველად ითამაშებს WTA-ის ტურნირის გადამწყვეტ მატჩში.

პარიზისგან განსხვავებით ტაილანდში ტურნირს მთავარი ფავორიტი გამოაკლდა. შარშანდელი ტიტულის დაცვა ვერ მოახერხა რუსმა **ვერა ზვონარევამ**, რომელმაც მოულოდნელად ორი სეტში წააგო სლოვაკ **დანიელა ჰანტუხოვასთან**. ზვონარევას მეტოქეზე ორჯერ მეტი - 10 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენა, სლოვაკმა კი ხუთი შანსიდან ორჯერ აიღო მეტოქის მოწოდება და ზედიზედ მეორედ დაამარცხა ამ მომენტისთვის რუსული ჩოგბურთის პირველი ნომერი.

მეორე ნახევარფინალში იტალიური დერბი გაიმართა, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ წყვილთა თანრიგში მუდმივი პარტნიორები - **სარა ერანი** და **რობერტა ვინჩი**. უფრო ძლიერი ერანი აღმოჩნდა, რომელმაც ოთხჯერ შეასრულა ბრეიკი.

რაც შეეხება ფინალს, მან არ გაამართლა მაყურებლის მოლოდინი. 27 წლის ჰანტუხოვამ ორ სეტში მხოლოდ ორი გეიმი დაუთმო ერანის. სლოვაკმა მხოლოდ ერთხელ წააგო თავისი მოწოდება, თავად კი ექვსი ბრეიკი გააკეთა. დანიელამ კარიერაში მეოთხედ და 2007 წლის შემდეგ პირველად მოიგო WTA-ის ტურნირი. ამ მოგებისთვის მან 37 ათასი დოლარი და 280 სარეიტინგო ქულა დაიმსახურა.

■ ■ ■

სხვა ტურნირებზე ერთი დღით ადრე გაირკვა გამარჯვებული ბრაზილიურ კოშტა დო სოიპეში. აქ ფავორიტის სტატუსი გაამართლა პირველ ნომრად განთესილმა ესპანელმა **ნიკოლას ალმაგრომ**. ფინალში მისი მეტოქე ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალისტი უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** იყო. ესპანელისთვის ეს გახლდათ მეცხრე ფინალი პროფესიულ ტურში, იმ დროს, როცა დოლგოპოლოვი პირველად თამაშობდა ასეთ დონეზე.

თანაბარი დასაწყისის შემდეგ (3:3) პირველი სეტის ბედი მერვე გეიმში გადაწყდა, სადაც ესპანელმა ორმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო და შანსი ხელიდან არ გაუშვა. ამის შემდეგ ალმაგრომ სეტზე დამაჯერებლად ჩააწოდა და სეტებს შორის დაწინაურდა.

მეორე სეტში ბრეიკი აღარ ყოფილა. უკრაინელმა გამოასწორა მოწოდება და რამდენიმე თავისი გეიმი „მშრალი“ ანგარიშით მოიგო. თავის მხრივ, არც ესპანელმა მისცა მეტოქეს ბრეიკ-პოინტის შანსი და საბოლოოდ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. იქ კი დოლგოპოლოვს მორიგი ჩავარდნა ჰქონდა და ალმაგრომ იოლად მოიგო შემოკლებული გეიმი. ესპანელმა კარიერაში მეცხრე ტიტული მიითვალა. ამ გამარჯვებებს მან გრუნტის კორტებზე მიაღწია.

როტერდამის ტურნირის ფინალშიც პირველ ნომრად განთესილი ჩოგბურთელი გავიდა. შვედმა **რობინ სიოდერლინგმა** ისევ ორ სეტში შეძლო გამარჯვება. ამჯერად მან სერბი **ვიქტორ ტროიცკი** დაამარცხა. პირველ სეტში 4:1 დაწინაურების შემდეგ სკანდინაველს პრობლემები შეექმნა და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, მაგრამ მე-12 გეიმში ისევ აიღო სერბის მოწოდება და სასტარტო პარტია გამარჯვებამდე მიიყვანა.

მეორე სეტში ტროიცკი მუდმივად მდევრის როლში იყო. მერვე გეიმში მან სამმაგი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, მაგრამ მეათეში იმავეს გაკეთება ვერ შეძლო და სიოდერლინგმა გადამწყვეტი ბრეიკი აიღო, რამაც მას ფინალის საგზური მოუტანა.

მეორე ნახევარფინალშიც ყველაფერი ორი სეტში გადაწყდა - ფრანგი **ჟოვილფრიდ ცონგა** 96 წუთში გაუსწორდა ხორვატ **ივან ლუბიჩიჩს**. პირველი სეტის წაგების შემდეგ ლუბიჩიჩს მეორეში უპირატესობა ჰქონდა და 5:3-ზე სეტზე აწვდიდა, მაგრამ ეს გეიმი ნულზე დათმო და ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა, რომელსაც აღარ გასჭირვებია მოგება. ცონგა 2009 წლის ოქტომბრის შემდეგ პირველად ითამაშებს ფინალში. ეს წარმატება ფრანგისთვის, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი.

ასევე ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვანი იყო სან ხოსეს ტურნირის ნახევარფინალში გასვლა **ხუან მარტინ დელ პოტროსთვის**. არგენტინელს დიდი ხანია ასეთი შედეგისთვის არ მიუღწევია და იმედი ვიქონიოთ, ეს ტურნირი ამ შესანიშნავი ჩოგბურთელის პროგრესის ათვლის წერტილი გახდება. დელ პოტრომ ნახევარფინალური ბარიერი ვერ გაიარა. ამაში მას ხელი ესპანელმა **ფერნანდო ვერდასკომ** შეუშალა, რომელმაც ორი სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:4 მოიგო, ბრეიკების მიხედვით კი 3:1 დაამარცხა არგენტინელი.

## ATP

### ABN AMRO World Tennis

როტერდამი (ჰოლ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 150 000 ევრო

**1/4 ფინალი**

**რობინ სიოდერლინგი (შვედ, 1)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 6) 6:4, 7:6(5); **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 8)**-ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 4) ბერდიხის უარი; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 7)**-მარკო ბალდატისი (კვიპ) 6:4, 6:7(8), 7:6(4). **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-მარინ ჩილიჩი (ხორ) 7:5, 6:3.

**1/2 ფინალი**

**რობინ სიოდერლინგი (შვედ, 1)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 7:5, 6:4; **ჟო ვილფრიდ ცონგა (საფ, 8)**-ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 7) 6:4, 7:6(8).

### SAP Open

სან ხოსე (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 531 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 1)**-დენის ისტომინი (ყაზ, 5) 6:4, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ, 2)**-ტიმ შმიჩეკი (აშშ) 6:4, 7:6(6); **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 7) 6:2, 6:3; **მილოშ რაონიჩი (კან)**-რიკარდას ბერანკისი (ლიტ) 6:4, 7:6(2).

**1/2 ფინალი**

**მილოშ რაონიჩი (კან)**-გაელ მონფილსი (საფ, 2) მონფილსის უარი; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 1)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6:4, 6:4.

### Brasil Open

კოშტა დო სოიპე (ბრაზილია). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 442 500 დოლარი

**1/2 ფინალი**

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 1)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 5) 1:6, 6:2, 6:4; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 4)**-რიკარდო მელო (ბრა) 6:2, 6:1.

**ფინალი**

**ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 1)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 4) 6:3, 7:6(3).

## WTA

### Open GDF Suez

პარიზი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 618 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 1)**-ელენა დოკიჩი (ავსტრა) 6:3, 6:0; **კაია კანეპი (ესტ, 3)**-დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 8) 6:2, 2:6, 6:2; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 7) 5:7, 6:3, 7:6(3); **ბეტანი მატეკი (აშშ)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 6) 7:6(4), 2:6, 6:3.

**1/2 ფინალი**

**კიმ კლაისტერსი (ბელ, 1)**-კაია კანეპი (ესტ, 3) 6:1, 7:5; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 4)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:2, 6:0.

### PTT Pattaya Open

პატაია (ტაილანდი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 220 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ვერა ზვონარევა (რუს, 1)**-შუაი პენგი (ჩინ, 6) 6:4, 4:6, 6:4; **რობერტა ვინჩი (იტა, 5)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 2) 7:5, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 4)**-აკგულ ამანმურადოვა (უზბ) 6:2, 6:0; **სარა ერანი (იტა, 8)**-გალინა ვოსკობოევა (ყაზ) 2:6, 6:3, 6:2.

**1/2 ფინალი**

**დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 4)**-ვერა ზვონარევა (რუს, 1) 7:6(3), 6:4; **სარა ერანი (იტა, 8)**-რობერტა ვინჩი (იტა, 5) 6:1, 6:4.

**ფინალი**

**დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 4)**-სარა ერანი (იტა, 8) 6:0, 6:2.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



დანიელა ჰანტუხოვა